

ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების  
ხელშეკრულების გარემოს დაცვისა და  
მდგრადი განვითარების შესრულების  
ეფექტურობის შეფასება



თბილისი, 2016

მწვანე ალტერნატივა მადლობას უხდის ფონდს „ღია საზოგადოება - საქართველო“ ფინანსური მხარდაჭერისთვის.

ამ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო“ შეხედულებათა ამსახველად.



© მწვანე ალტერნატივა, 2016

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	2
2014-2016 წლებში ასოცირების შეთანხმების შესრულება, გარემოს დაცვის სექტორში.....	3
1.1 ძირითადი ტენდენციები.....	3
1.2 ასოცირების შეთანხმების შესრულება: 2017 წლის პრიორიტეტები .....	4
მიზანი 1. გარემოს საკითხების ინტეგრირება სხვა სექტორებში.....	6
მიზანი 2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გგშ) კანონის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან.....	15
მიზანი 3. ბიომრავალფეროვნება და ტყის მართვა .....	23
მიზანი 4. წყლის ხარისხი და რესურსების მართვა .....	29
მიზანი 5. ქიმიური ნივთიერებების მართვა .....	34

## შესავალი

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“ (შემდგომში - ასოცირების შეთანხმება). ამ ხელშეკრულებით, საქართველომ აიღო ვალდებულება, გაატაროს რეფორმები და უზრუნველყოს ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან პროგრესული დაახლოება (ეტაპობრივად, შეთანხმებული ვადების მიხედვით), მათ შორის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სფეროში. 2014 წლის ივნისშივე მხარეები შეთანხმდნენ **ასოცირების დღის წესრიგზე** - დოკუმენტზე, რომელიც განსაზღვრავს ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელების პრიორიტეტებს 2014-2016 წლებისთვის.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, შეფასდეს 2014-2016 წლებში ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგით აღებული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა, გარემოს დაცვის სფეროში.

ანგარიში ეყრდნობა მთელი რიგ დოკუმენტებს, მათ შორის, ასოცირების შეთანხმების განსახორციელებლად საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ 2014 -2016 წლების სამოქმედო გეგმებსა და მათი შესრულების ანგარიშებს, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესის საგზაო რუკას გარემოს დაცვისა და კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების საკითხებში, აგრეთვე, შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისგან მიღებულ საჯარო ინფორმაციას, კანონებისა და კანონპროექტების ანალიზს, ასევე, სხვადასხვა ორგანიზაციის ანგარიშებსა და ექსპერტთა დასკვნებს, დაინტერესებულ მხარეთა ოფიციალურ განცხადებებს.

## შეფასების მეთოდოლოგია

2009 წლიდან მწვანე ალტერნატივა პერიოდულად აქვეყნებდა საქართველო ევროკავშირის სამოქმედო გეგმის გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების ნაწილის შესრულების მდგომარეობის ამსახველ ანგარიშებს<sup>1</sup>. წინამდებარე პუბლიკაცია წინა ანგარიშების ერთგვარი გაგრძელებაა. ამ კვლევის მოსამზადებლად, გადაიხედა და ადაპტირდა 2009-2013 წლებში შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდოლოგია<sup>2</sup>, ასოცირების შეთანხმების მოთხოვნათა შესაბამისად, შეირჩა ახალი მიზნები და პრიორიტეტები. ამასთან, უცვლელი დარჩა მეთოდოლოგიის მთავარი მახასიათებელი - გამოყენებული მეთოდოლოგია იძლევა შესაძლებლობას, ნათლად გამოიკვეთოს სახელმწიფოს მიერ დროის გარკვეულ პერიოდში მისაღწევი, შეთანხმებით განსაზღვრული სამიზნეები; ასევე, დეტალური კითხვარების საშუალებით, შეფასდეს ამა თუ იმ სფეროში განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობა.

ისევე როგორც წინა წლებში ჩატარებული შეფასებების შემთხვევაში, ამ კვლევისასაც გამოყენებული იქნა კითხვარები. კითხვებზე გაცემული პასუხების საფუძველზე კი, დათვლილ იქნა შესრულების მდგომარეობის მაჩვენებელი პროცენტული ინდიკატორები. ინდიკატორების საშუალებით ეფექტურობის შეფასება სასარგებლოა იმდენად, რამდენადაც ის იძლევა მიღწეული პროგრესის გარკვეული პერიოდულობით შეფასების შესაძლებლობას<sup>3</sup>.

პროცენტული ინდიკატორი გამოითვლება კითხვარებში მოცემული "დიახ" და "არა" პასუხების საფუძველზე. კითხვარებში თითოეულ შეკითხვაზე შესაძლო პასუხის ოთხი ვარიანტია მოცემული:

- "დიახ" - გამოყოფილია სამი დონე, საუკეთესოდან უარესამდე (3 - საუკეთესო, 2 - ადექვატური ან 1 - ცუდი);
- "არა" - აღინიშნა 0-ით.

თითოეულ პროცენტულ ინდიკატორს, როგორც წესი, მოჰყვება მოკლე განმარტება, რომელიც ხსნის, თუ რატომ არის მინიჭებული ესა თუ ის ინდიკატორი. გარდა პროცენტული ინდიკატორისა, განხილულია თითოეულ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები; ხშირად, ასევე, მოცემულია რეკომენდაციები გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

ამ კვლევისთვის საკითხების შერჩევასას სახელმძღვანელოდ გამოყენებულ იქნა ასოცირების შეთანხმება და ასოცირების დღის წესრიგი, ვინაიდან ისინი მკაფიოდ განსაზღვრავენ ევროკავშირის იმ დირექტივებს, რომელსაც საქართველომ უნდა დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა და ადგენს, ასევე, ვალდებულებების შესრულებას.

<sup>1</sup> ხელმისაწვდომია მწვანე ალტერნატივას ვებ-გვერდზე: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

<sup>2</sup> მეთოდოლოგია 2009 წელს შემუშავდა ბოელის ფონდის და მსოფლიო ბუნების დაცვის ფონდის ბრიუსელის ოფისების დახმარებით; იხ. „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმების განხორციელების შეფასება გარემოს დაცვის სფეროში“.

<sup>3</sup> მწვანე ალტერნატივა გეგმავს კვლავაც გააგრძელოს ასოცირების შეთანხმების შესრულების შეფასება, რაც ასევე საშუალებას მოგვცემს პროგრესი შეფასდეს წლების მიხედვითაც.

ბის ვადებს. შესაბამისად, კვლევისთვის შეირჩა ისეთი სექტორები (სამიზნეები), სადაც 2016 წლის ბოლოსთვის უკვე უნდა იყოს მიღწეული გარკვეული პროგრესი, კანონმდებლობის ჰარმონიზაციის თვალსაზრისით<sup>4</sup>.

## **1. 2014-2016 წლებში ასოცირების შეთანხმების შესრულება, გარემოს დაცვის სექტორში**

### **1.1 ძირითადი ტენდენციები**

გარემოს დაცვის სექტორში მიმდინარე პროცესები, გარკვეულწილად, დადებითად შეიძლება შეფასდეს. ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია თავად ასოცირების შეთანხმებით, რომელიც მოითხოვს გარემოს დაცვის სექტორის ძირეულ რეფორმას და გარემოს საკითხების ინტეგრირებას სხვა სექტორებში, მათ შორის, ეკონომიკასა და ვაჭრობაში. ევროკავშირის მიერ საბიუჯეტო დაფინანსების გამოყოფამ ისეთ სექტორებში, როგორცაა რეგიონული განვითარება და სოფლის მეურნეობა, ასევე, დადებითი როლი ითამაშა ამ ტენდენციის განვითარებაში.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, ევროკავშირის ექსპერტების დახმარებით, 2015 წელს შეიმუშავა ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესის საგზაო რუკა გარემოს დაცვისა და კლიმატის საკითხებზე; 2016 წლის შემოდგომაზე კი, წარმოადგინა საგზაო რუკის განახლებული ვარიანტი. საგზაო რუკაში დეტალურადაა განწერილი ამა თუ იმ სექტორის რეფორმირების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების გეგმა და შესრულების ვადებები. ამასთან, საგზო რუკა, თითოეული ქმედებისთვის, განსაზღვრავს სექტორში არსებულ სირთულეებსა და პრიორიტეტების დადგენის კრიტერიუმებს, კონკრეტულ პასუხისმგებელ უწყებას (სამსახურის/სააგენტოს დონეზე), განსაზღვრავს შუალედურ და საბოლოო ინდიკატორებს და შესაბამის თარიღებს. ეს აიოლებს ადებული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შეფასებასა და მონიტორინგს.

აღსანიშნავია ისიც, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ვერ შეძლო ხელშესახები შედეგების ჩვენება 2014-2015 წლებში. ასოცირების შეთანხმების ეროვნული სამოქმედო გეგმებისა (2014-2016 წლების) და საგზაო რუკის შესრულების ანალიზი აჩვენებს, რომ დაწყებულია მუშაობა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ჰარმონიზებისთვის, როგორც ჰორიზონტული, ისე სექტორული (ჰაერი, წყალი, ბიომრავალფეროვნება, ტყე და სხვ.) მიმართულებით. თუმცა, ამავდროულად, არცერთი კანონპროექტი არაა საბოლოოდ მიღებული, მათ შორის, ისინიც, რომლებიც გეგმის თანახმად, უკვე მიღებული, ან სულ მცირე, წარდგენილი მაინც უნდა იყოს პარლამენტში განსახილველად<sup>5</sup>. ეს მდგომარეობა აბრკოლებს შესაბამის სფეროებში რეფორმის გატარებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელისუფლებო წრეებში ჯერ კიდევ მტკიცედ არის დამკვიდრებული მოსაზრება, რომ გარემოს დაცვა ეკონომიკის განვითარების მთავარი ხელშემშლელია<sup>6</sup>. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმილ დროში განხორციელდეს და დაინერგოს ისეთი ინსტრუმენტები, როგორცაა გარემოზე გემოქმედების შეფასება და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება, სწორედ ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობაში. ეს მოგვცემს საშუალებას, უზრუნველყოთ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო გემოქმედების შესწავლისა და საუკეთესო ალტერნატივების გამოვლენის გზები.

ასოცირების შეთანხმება გარემოს დაცვას განიხილავს, როგორც თანამშრომლობის სექტორს, რომელიც მიზნად ისახავს „გარემოს ხარისხის შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას, ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას, ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და საერთაშორისო დონეზე ძალისხმევის ხელშეწყობას, გარემოს დაცვის რეგიონულ ან გლობალურ პრობლემებთან გასამკლავებლად“. სწორედ ამიტომ, გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება საკმაოდ დიდ ადგილს იკავებს შეთანხმების განუყოფელ ნაწილში - ღრმა და ყოვლისმომცველ სავაჭრო შეთანხმებაში.

<sup>4</sup> მწვანე ალტერნატივას მომდევნო კვლევაში, შეფასებას დაემატება სხვა სამიზნეებიც - ისეთი სამიზნეები, სადაც ასოცირების შეთანხმების მიხედვით, ვალდებულებები მომავალ წლებში უნდა შესრულდეს.

<sup>5</sup> კანონპროექტებით მოცული თემების სირთულიდან გამომდინარე, კანონპროექტების შემუშავება-განხილვა-მიღების პროცესის გადავადება არ იყო მოულოდნელი; გარემოს დაცვა რთული სექტორია, სადაც ბევრი დაინტერესებული მხარეა ჩართული და შესაბამისად, რთულია კონსენსუსის მიღწევა. მიუხედავად ამისა, უმეტეს შემთხვევაში, კანონპროექტების შემუშავების დასრულებისა და პარლამენტში წარდგენის ვადის გადავადებისას, საზოგადოებისთვის უცნობია შეფერხების მიზეზები.

<sup>6</sup> გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს არ არის მხოლოდ საქართველოს პრობლემა. მაგალითად, 2016 წლის 3 ნოემბერს უკრაინის პრეზიდენტმა პეტრ პოროშენკომ ვეტო დაადო სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების კანონს, ვინაიდან, მისი აზრით, „დოკუმენტი მოიცავს სხვადასხვა მიდგომებს რეგულირების სფეროსა და ობიექტების განსაზღვრისთვის და ეს გაართულებს, სახელმწიფოს მიერ დაგეგმვის პროცესს“ (წყარო: <http://newsdaily.org.ua/post/131094>)

აღსანიშნავია, რომ კანონი მომზადდა UN ECE აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მწვანე ეკონომიკის განვითარების პროექტის ეგიდით. პროექტი ასევე ითვალისწინებდა იგივე საკანონმდებლო დოკუმენტის მომზადებას საქართველოსთვისაც.

შესაბამისად, იმისთვის, რომ ხელი შევეწყოთ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას, აუცილებელია, ქვეყანას გააჩნდეს სახელმწიფო გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რომელიც იქნება ქვეყნის მომავალი განვითარების ერთ-ერთი საფუძველი.

ერთ-ერთ მწვავე პრობლემად რჩება ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი მმართველობის პროცესში. კვლავ ფორმალური პროცედურების არარსებობის გამო, სუსტია საზოგადოების მონაწილეობა, როგორც პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების, ისე გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

კვლავ არათანმიმდევრულია ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულების პროცესში, საზოგადოების მონაწილეობის პრაქტიკა: რიგ შემთხვევაში, პროცესი საკმაოდ გახსნილია და არასამთავრობო ორგანიზაციების, ექსპერტებისა და დაინტერესებული საზოგადოების მოსაზრებებიც აისახება განსახილველად გამოქვეყნებულ დოკუმენტში; ზოგ შემთხვევაში კი, პროცესები დახურულია.

კვლევამ აჩვენა, რომ იმ სექტორებში, სადაც არსებობს დონორთა დაინტერესება და უზრუნველყოფილია მრავალმხრივი ფინანსური ნაკადების სტაბილურობა ან/და თანამშრომლობა ორმხრივ და რეგიონულ დონეზე (მაგ., ბუნების დაცვა - ბიომრავალფეროვნება და ტყის მართვა), შედარებით მეტი ქმედითი ნაბიჯია გადადგმული ასოცირების შეთანხმების შესასრულებლად. ამასთან, გამოიკვეთა სახიფათო ტენდენცია, რომ საერთაშორისო პროგრამის დასრულებამ შეიძლება შეანელოს ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესი (ამის ნათელი მაგალითებია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პროექტისა და წყლის შესახებ კანონპროექტის შემუშავების პროცესები).

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია ამ კვლევაში შეფასებული სამიზნეების მიღწევის პროცენტული ინდიკატორები. მომდევნო თავებში - კითხვარებში - მოცემულია თითოეული სამიზნის მიღწევის დეტალური შეფასება.

ასოცირების შეთანხმებაში დეკლარირებული მიზანი	პროცენტული ინდიკატორი
გარემოს საკითხების ინტეგრირება სხვა სექტორებში	19.6 %
გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) კანონის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან	16.7 %
ბუნების დაცვა - ბიომრავალფეროვნება და ტყის მართვა	46 %
ქიმიური ნივთიერებების მართვა	30 %
წყლის ხარისხი და წყლის რესურსების მართვა	21.4 %

## 1.2 ასოცირების შეთანხმების შესრულება: 2017 წლის პრიორიტეტები

მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ გარემოს დაცვის სფეროში განხორციელებული ქმედებები არ იქნება ეფექტური, თუ გარემოს საკითხები არ იქნება ინტეგრირებული სექტორულ პოლიტიკაში. ეკონომიკური განვითარების პროგრამებისა და პროექტების განხორციელებას ყოველთვის მოჰყვება უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური შედეგები. ეს, ერთი მხრივ, წარმოქმნის სხვადასხვა ტიპის კონფლიქტებს საზოგადოებაში, ხოლო მეორე მხრივ, მოითხოვს დამატებითი ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ თავიდანვე იყოს შეფასებული ყოველი პროგრამის/პროექტის ზემოქმედება და გაითვალისწინოს შემარბილებელი ღონისძიებები. ეს, საბოლოო ჯამში, ამ პროგრამებსა და პროექტებს ეკონომიკურად მიმზიდველს და მომგებიანს გახდის.

გარემოს საკითხების განვითარების პოლიტიკაში ინტეგრირებისთვის, აუცილებელია, რომ ქვეყანას დადგენილი ჰქონდეს თავად გარემოს დაცვაში პოლიტიკის მიზნები, ამოცანები და პრიორიტეტული მიმართულებები; ანუ, ქვეყანას უნდა გააჩნდეს **სახელმწიფო გარემოსდაცვითი პოლიტიკა**. ასეთი პოლიტიკის არსებობა გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს.

2015 წელს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის კოორდინაციით, საქართველოს საჯარო მმართველობის სფეროში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, შეფასდა საქართველოში პოლიტიკის დაგეგმვის მოქმედი

სისტემა. შეფასების შედეგად, დადგინდა, რომ საქართველოში მოქმედი პოლიტიკის დაგეგმვის სისტემა არაერთგვაროვანი და გაუმართავია; გამოვლინდა სისტემაში არსებული პრობლემები და დაისახა მისი გარდაქმნის სამწლიანი სტრატეგია - პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის 2015-2017 წლების სტრატეგია<sup>7</sup>. მნიშვნელოვანია, არ გადავადდეს სტრატეგიის განხორციელება. ამ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დროული განხორციელება, თავის მხრივ, ხელს შეწყობს გარემოს საკითხების განვითარების პოლიტიკაში ხარისხიან ინტეგრაციას.

დროულად უნდა დასრულდეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პროექტის შემუშავება და კანონპროექტი დროულად უნდა გადაეცეს პარლამენტს განსახილველად. არ უნდა გადავადდეს კანონპროექტში სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისადმი მიძღვნილი თავის ამოქმედება.

---

<sup>7</sup> დამტკიცებულია „საჯარო მმართველობის განხორციელების სტრატეგიული დოკუმენტების – „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020-ისა“ და „პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2015-2017-ის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 აგვისტოს #427 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აპრილის #186 დადგენილებით. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3259832>

## მიზანი 1

### გარემოს საკითხების ინტეგრირება სხვა სექტორებში

**ამონარიდი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან:** 302-ე მუხლის მე-2 პუნქტი: „თანამშრომლობა მიზნად ისახავს გარემოს დაცვის საკითხების ინტეგრირებას არა მხოლოდ გარემოსდაცვით პოლიტიკაში, არამედ პოლიტიკის სხვა სფეროებშიც“<sup>8</sup>. 304-ე მუხლის პირველი პუნქტის (b) ქვეპუნქტი: „თანამშრომლობა, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს შემდეგ მიზანს: ...გარემოს დაცვის საკითხების პოლიტიკის სხვა სფეროებში ასახვის ხელშეწყობას“<sup>9</sup>.

**2014-2016 წლების ასოცირების დღის წესრიგით** საქართველოს აღებული აქვს 2012-2016 წლების გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამის (NEAP-2-ის) სრულად შესრულების ვალდებულება<sup>10</sup>. NEAP-2-ში კი, თავის მხრივ, მთელი თავი ეთმობა გარემოს საკითხების ინტეგრირებას, როგორც პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების აუცილებელ წინაპირობას<sup>11</sup>.

#### შეფასება

კითხვა	დიახ			არა	განმარტება
ქულა	3	2	1	0	
<b>მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგია</b>					
მიღებულ იქნა, თუ არა მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგია ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ?				X	
მიმდინარეობს, თუ არა მუშაობა მის შემუშავებაზე?				X	<p>არ მიმდინარეობს და რამდენადაც ცნობილია, არც იგეგმება.</p> <p>საქართველოში არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა ქვეყნის განვითარების ყოვლისმომცველ გრძელვადიან ხედვას<sup>12</sup>.</p> <p>ამასთან, არსებობს დოკუმენტი, რომელსაც საქართველოს მთავრობა განიხილავს ქვეყნის განვითარების მიმართულებების განსაზღვრულ პოლიტიკის დოკუმენტად. ესაა 2014 წელს მიღებული „<b>საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020</b>“<sup>13</sup>. სტრატეგია მოიცავს ეკონომიკური პოლიტიკის ე.წ. ჰორიზონტულ ღონისძიებებს და ადგენს შესაბამისი სამინისტროების პრიორიტეტულ მიმართულებებს.</p>

<sup>8</sup> „Cooperation shall also aim at integrating environment into policy areas other than environment policy.“

<sup>9</sup> „The cooperation shall cover, among others, the following objective:... (b) the promotion of integration of the environment into other policy areas“.

<sup>10</sup> „Full implementation of Georgia’s National Environment Action Plan for 2012-2016“

<sup>11</sup> 2012-2016 წლების გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა, თავი 14 „პოლიტიკის ინტეგრაცია. ხელმისაწვდომია: [http://eiec.gov.ge/NavMenu/Documents/Action-Plan/NEAP\\_geo\\_2012.aspx](http://eiec.gov.ge/NavMenu/Documents/Action-Plan/NEAP_geo_2012.aspx)

<sup>12</sup> საქართველოში, ზოგადად, პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი არასისტემურია. კანონმდებლობით რეგულირდება დაგეგმვის შემდეგი დოკუმენტების შემუშავება: სამთავრობო პროგრამა, მთავრობის ყოველწლიური სამოქმედო გეგმა, მთავრობის კანონმდებლობითი საქმიანობის გეგმა, საერთაშორისო შეთანხმება, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი, და სახელმწიფო ბიუჯეტი. დაგეგმვისას ამ ინსტრუმენტების გამოყენების გარდა, ზოგჯერ მუშავდება სექტორული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები. ამასთან, კანონმდებლობა არ განმარტავს ნათლად, რა კავშირია დაგეგმვის ამ ინსტრუმენტებს შორის, როგორია მათი იერარქია და ურთიერთმიმართება. არ არსებობს რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავდა პოლიტიკის დაგეგმვის სფეროებსა და ეტაპებს (წყარო: პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია: 2015-2017 (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 აგვისტოს #427 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აპრილის #186 დადგენილებით). ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3259832>).

<sup>13</sup> დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის #400 დადგენილებით „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“.

ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2373855>

					სტრატეგიაში დეკლარირებულია ისეთი მიზნები და პრიორიტეტული მიდგომები, რომლებსაც შესაძლოა მოჰყვეს პირდაპირ ან ირიბი დადებითი ზეგავლენა გარემოზე (მაგ., გარემოს დაცვაზე ორიენტირებული რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვის წახალისება). ამავდროულად, სტრატეგიაში მოცემულია ისეთი პრიორიტეტებიც, რომლებსაც შესაძლოა მოჰყვეს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე (მაგ., ტრანსპორტის სექტორის განვითარებისთვის მოცემული პოლიტიკის პრიორიტეტები).
<b>გარემოს საკითხების ინტეგრაცია რეგიონული განვითარების პოლიტიკაში</b>					
მიღებულია, თუ არა რეგიონული განვითარების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი(ებ)?		X			<p>არსებობს მთავრობის მიერ მიღებული ორი ძირითადი დოკუმენტი, რომელიც რეგიონული განვითარების პრიორიტეტებს ასახავს; ესენია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• 2010 წელს მიღებული „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წ.წ. სახელმწიფო სტრატეგია“<sup>14</sup>; და</li> <li>• 2014 წელს მიღებული „2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა“<sup>15</sup>.</li> </ul> <p>გარდა ამ ორი დოკუმენტისა, საქართველოს ყოველ რეგიონს აქვს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული თავისი განვითარების სტრატეგია<sup>16</sup>. ამჟამად, ასევე, შემუშავების პროცესში საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია<sup>17</sup>.</p>
არა ამ დოკუმენტ(ებ)ში გარემოს საკითხები?			X		<p>გემოაღნიშნულ დოკუმენტებში დეკლარირებული პრიორიტეტული მიმართულებებიდან ნაწილმა, შესაძლოა, მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს გარემოს მდგომარეობაზე, იმდენად, რამდენადაც ისინი საჭიროებენ ბუნებრივი რესურსების ათვისებას ან/და მოჰყვებათ მნიშვნელოვანი გაფრქვევები გარემოში. ამავდროს, მათში მოცემულია როგორც გარემოზე უშუალოდ დადებითი ზეგავლენის მქონე პრიორიტეტები (მაგ., ტყის რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ღონისძიებების გატარება; ქარსაფარების აღდგენა და ახალის გაშენება; განსაკუთრებით მოწყვლადი მიწების მონიტორინგი, მათი სარეაბილიტაციო და საადაპტაციო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება), ისე პრიორიტეტები, რომლებიც არ არიან უშუალოდ დაკავშირებული გარემოსთან, თუმცა, შესაძლოა, ირიბად, მიიწვი იქონიონ გარემოზე დადებითი ზეგავლენა (მაგ., ინოვაციების სტიმულირება და საინოვაციო ცენტრების შექმნის ხელშეწყობა).</p>

<sup>14</sup> დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის #172 დადგენილებით „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წ.წ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1025719>

<sup>15</sup> დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის #1215 განკარგულებით „2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის დამტკიცების თაობაზე“. განკარგულება ხელმისაწვდომია: [http://gov.ge/files/381\\_43284\\_894609\\_1215.pdf](http://gov.ge/files/381_43284_894609_1215.pdf), პროგრამა: [http://gov.ge/files/381\\_43285\\_728272\\_1215-1.pdf](http://gov.ge/files/381_43285_728272_1215-1.pdf)

<sup>16</sup> ყველა რეგიონის მოქმედი სტრატეგიები მიღებულ იქნა 2013 წელს და მათში პრიორიტეტები გათვლილია 2014-2021 წლებზე, გარდა ორი რეგიონისა; მათი სტრატეგიები 2016 წელს განახლდა და ამჟამად მოიცავს 2016-2021 წლების პრიორიტეტებს.

<sup>17</sup> სოფლის განვითარების სტრატეგია მუშავდება ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში და გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) ტექნიკური დახმარებით. 2016 წლის ოქტომბერში ჩატარდა პირველი საჯარო საკონსულტაციო შეხვედრები სტრატეგიის პროექტზე.

					<p>ყურადსაღებია, რომ დოკუმენტებში მოცემული გარემოზე პოტენციურად დადებითი ზეგავლენის მქონე პრიორიტეტები, როგორც წესი, არ არის მიმართული იმავე დოკუმენტებში მოცემული შესაძლო უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებაზე, შერბილებაზე ან კომპენსირებაზე. სხვა სიტყვებით, გარემოს საკითხები თითქოს მოცემულია დოკუმენტებში, მაგრამ არ არის ინტეგრირებული.</p>
<b>გარემოს საკითხების ინტეგრაცია სექტორულ პოლიტიკებში</b>					
<p>მიღებულია, თუ არა სხვადასხვა სექტორებში (მაგ., მრეწველობის სხვადასხვა დარგის, ენერჯეტიკის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის) პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები?</p>			X		<p>როგორც ზემოთ (იხ. განმარტება მე-2 კითხვაზე) აღინიშნა, საქართველოში არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა ქვეყნის განვითარების ყოვლისმომცველ გრძელვადიან ხედვას, მიზნებსა და ამოცანებს; ასევე, სხვა საკითხებს შორის, ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებს. შესაბამისად, არ არსებობს, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტებიც. მაგალითად, მაშინ, როდესაც საქართველოს <b>სამთო-მოპოვებით მრეწველობაზე</b> დამოკიდებულების ინდექსი (სამთო-მოპოვებით მრეწველობის წილი ქვეყნის ეკონომიკაში) 52.5-ს შეადგენს<sup>18</sup>, ზემოთ, განმარტებებში ხსენებული არცერთი დოკუმენტი არაფერს ამბობს მრეწველობის ამ დარგის პრიორიტეტულობაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ დარგში ცალკე პოლიტიკის დოკუმენტის არსებობაზე. თითქმის მსგავსია მდგომარეობა <b>ტურიზმის</b> სფეროშიც. ტურიზმი განიხილება რეგიონებში სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ საშუალებად. ამ დროს ქვეყანას არ აქვს დადგენილი ამ სფეროში ეროვნული პოლიტიკის მიზნები და განვითარების სტრატეგია.</p> <p>გამონაკლისს წარმოადგენს ენერჯეტიკა და სოფლის მეურნეობა; და გარკვეულწილად - ტრანსპორტის სექტორი: ენერჯეტიკის სექტორის პოლიტიკას, საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წელს დამტკიცებული „<b>საქართველოს ენერჯეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები</b>“ განსაზღვრავს<sup>19</sup>; სოფლის მეურნეობის სექტორში გატარებული პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე მსჯელობის შესაძლებლობას იძლევა 2015 წელს მთავრობის მიერ მიღებული „<b>საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგია</b>“<sup>20</sup>.</p>

<sup>18</sup> საქართველო ამ ინდექსით 75-ე ადგილს იკავებს მსოფლიოს 183 ქვეყანას შორის (პირველ ადგილზეა ყველაზე ძლიერ დამოკიდებული ქვეყანა ინდექსით - 96.2, ხოლო ბოლო, 183-ე ადგილზე - ყველაზე მცირედ დამოკიდებული ქვეყანა, ინდექსით 1.8). ქვეყნების სამთო-მოპოვებით მრეწველობაზე დამოკიდებულების ინდექსს (Mining Contribution Index, MCI) გარკვეული პერიოდულით აქვეყნებს საერთაშორისო ორგანიზაცია დასახელებით „სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და ლითონების საერთაშორისო საბჭო“ (International Council on Mining and Metals). საბჭო აერთიანებს მსხვილ, ტრანსნაციონალურ სამთო-მოპოვებელ კომპანიებსა და კომპანიათა ნაციონალურ და რეგიონულ გაერთიანებებს. 2016 წლის მონაცემები, ასევე ინდექსის გამოთვლის მეთოდოლოგია ხელმისაწვდომია საბჭოს ვებ-გვერდზე: [http://www.icmm.com/161026\\_icmm\\_romine-supplement\\_third-edition.pdf](http://www.icmm.com/161026_icmm_romine-supplement_third-edition.pdf)

<sup>19</sup> დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 24 ივნისის დადგენილებით „საქართველოს ენერჯეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე“. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2894951>

<sup>20</sup> დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 თებერვლის #167 განკარგულებით „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2733545>

					<p>რაც შეეხება <b>ტრანსპორტის სექტორს</b>, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულში სექტორი ძალზე ინტესტიურად ვითარდება და მასზე მიიმართება სახელმწიფო და დონორული დაფინანსების მნიშვნელოვანი ნაწილი, ამ სფეროში პოლიტიკის დოკუმენტი დღემდე არ არსებობს<sup>20</sup>.</p> <p>სექტორის პრიორიტეტებზე გარკვეულ წარმოდგენას ქმნის ზემოთ უკვე ნახსენები პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები: „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020“ და 2010 და 2014 წლებში მიღებული რეგიონული განვითარების პოლიტიკის დოკუმენტები. ამათ გარდა, არსებობს ასევე, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 15 აპრილის #655 განკარგულება<sup>21</sup>, რომლითაც დამტკიცებულია პრიორიტეტული მასშტაბური სატრანსპორტო პროექტები (10 მიმდინარე და 22 დაგეგმილი პროექტი); ამ პროექტებს, „განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის“ სტატუსი აქვთ მინიჭებული.</p>
ინტეგრირებულია, თუ არა ამ დოკუმენტებში გარემოს საკითხები?			X		<p>იმ სფეროებში, სადაც არსებობს მეტნაკლებად ნათლად ჩამოყალიბებული პოლიტიკის პრიორიტეტები (ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტის სექტორი), შესაბამის დოკუმენტებში გარემოს საკითხებიც ასახულია, თუმცა, ინტეგრირების ხარისხი ვარირებს: გარემოს საკითხები შედარებით უკეთ ინტეგრირებულია სოფლის მეურნეობის სფეროში, ნაკლებად - ენერგეტიკის და კიდევ უფრო არასათანადოდ - ტრანსპორტის სექტორში.</p> <p><b>სოფლის მეურნეობა:</b> სტრატეგიაში მოცემულია პრიორიტეტები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად დადებით ზეგავლენას მოახდენენ გარემოზე (მაგ., სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ნიადაგების რეაბილიტაცია; ქარსაფარი ზოლების აღდგენა და სხვ.); ასევე, ღონისძიებები, რომლებსაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოჰყვეს გარემოზე (მაგ., ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავების მშენებლობა, სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის მონყობა). სტრატეგიაში ცალკეა მოცემული პრიორიტეტული მიმართულება „კლიმატის ცვლილება, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება“, სადაც მოცემულია ღონისძიებები, რომლებიც პირდაპირ დადებით ზეგავლენას იქონიებენ გარემოზე.</p>

<sup>21</sup> 2014 წელს, ამიის განვითარების ბანკის ფინანსური დახმარებით (გამოიყო 750 ათასი აშშ დოლარი), დაიწყო საქართველოს ტრანსპორტის ეროვნული პოლიტიკის/სტრატეგიის დოკუმენტისა და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავება (წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მედიაცენტრის ახალი ამბები, 2014 წლის 10 დეკემბერი „საქართველომ ტრანსპორტის განვითარების სტრატეგიაზე მუშაობა დაიწყო“: <http://www.economy.ge/ge/media/news/saqartvelos-transportis-ganvitarebis-strategiaze-musaobadaiwyo>). ამ დრომდე, პოლიტიკა/სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საჯარო განხილვებისთვის არ გამოქვეყნებულია; არც ისაა ცნობილი, საერთოდ რა გეგმები აქვს მთავრობას ამ დოკუმენტთან დაკავშირებით.

<sup>22</sup> საქართველოს მთავრობის 2016 წლის 15 აპრილის #655 განკარგულება „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტების მიერ განსახორციელებელი განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“. ხელმისაწვდომია: [http://gov.ge/files/438\\_55408\\_201255\\_655.pdf](http://gov.ge/files/438_55408_201255_655.pdf)

					<p><b>ენერგეტიკა:</b> სხვა საკითხებს შორის, „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში“ ყურადღებაა გამახვილებული ენერგოეფექტიანობის ხელშეწყობაზე; ასევე, ტრადიციულ ენერგომატარებლებთან ერთად, განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისებაზე. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ განახლებად ენერგეტიკულ რესურსებში საქართველოს მთავრობა, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრებს ჰიდრო-რესურსებს, განახლებად ენერგეტიკაში კი - ყველანაირი სიმძლავრის და ასევე, დიდ, კაშხლიან ჰიდროელექტროსადგურებს.</p> <p><b>ტრანსპორტის სექტორი:</b> ყველა ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტში მოყვანილი პრიორიტეტები, მნიშვნელოვან პირდაპირ უარყოფით ზეგავლენას იქონიებენ გარემოზე. ამის საპირწონედ კი, მხოლოდ და მხოლოდ პირველ დოკუმენტშია ნახსენები, რომ ზოგადად, ნებისმიერი (სატრანსპორტო, ენერგო, ლოგისტიკური, სასოფლო-სამეურნეო) ინფრასტრუქტურის „მშენებლობის/განვითარების პროცესში აუცილებელია გარემოზე მისი შესაძლო ზეგავლენის სათანადო შეფასება და გათვალისწინება, ზიანის თავიდან ასაცილებლად“.</p>
<b>გარემოს საკითხების ინტეგრაცია საინვესტიციო პოლიტიკაში და ფინანსურ ინსტრუმენტებში</b>					
მიღებულია, თუ არა ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი?			X	<p>საქართველოში არ არსებობს რაიმე ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც დაადგენდა ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკის მიზნებს, ამოცანებს, საჭიროებებსა და პრიორიტეტებს; ასევე, სხვა მნიშვნელოვან საკითხებს შორის, ასახავდა გარემოს დაცვის საკითხებს.</p> <p>ეს მაშინ, როდესაც ქვეყანაში სამი სახელმწიფო ფონდი<sup>23</sup> და ორი სახელმწიფო სააგენტო<sup>24</sup>, რომლებიც ეკონომიკის სხვადასხვა დარგში კერძო ინვესტიციების მოზიდვასა და მხარდაჭერაზე არიან ორიენტირებულნი ან/და თავად ახდენენ ინვესტირებას (მათ შორის, ერთსა და იმავე დარგში).</p>	
				<p>მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ოფიციალურად დეკლარირებული ეროვნული საინვესტიციო პოლიტიკა, ენერგეტიკის სექტორში საინვესტიციო პოლიტიკაზე მსჯელობა მაინც შესაძლებელია, ენერგეტიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის საფუძველზე.</p>	

<sup>23</sup> საპარტნიორო ფონდი (<http://www.fund.ge/>) , საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი (<http://gedf.com.ge>) და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (<http://mdf.org.ge>). ინვესტიციების სფეროში მნიშვნელოვანი მოთამაშეა, ასევე, თანაინვესტირების ფონდი (<http://www.gcfund.ge/>). ეს, მართალია, კერძო საინვესტიციო ფონდია, მაგრამ ყურადსაღებია, იმდენად, რამდენადაც ის, 2013 წელს, საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელის, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით დაფუძნდა, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად.

<sup>24</sup> საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო (<http://www.investinggeorgia.org/en>) და მენარმეობის განვითარების სააგენტო (<http://enterprisegeorgia.gov.ge>).

<p>ინტეგრირებულია, თუ არა საინვესტიციო პოლიტიკაში და ფინანსურ ინსტრუმენტებში გარემოს საკითხები?</p>				<p>X</p>	<p>სამინისტროს ვებ-გვერდზე, სექციაში „ინვესტორის გვერდი“<sup>25</sup>, დაინტერესებული პირი ნახავს ინფორმაციას პრიორიტეტული საინვესტიციო მიმართულებებისა და საინვესტიციო პროექტების შესახებაც კი. აქ მოცემული ინფორმაცია იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ ერთგვარი შეუსაბამობაა ენერგეტიკის სექტორში ოფიციალურად დეკლარირებულ პოლიტიკისა და საინვესტიციო პოლიტიკის პრიორიტეტებს შორის. უფრო მეტიც, ენერგეტიკის პოლიტიკის დოკუმენტში დეკლარირებული გარემოსდაცვითი ვალდებულებები, საინვესტიციო პრიორიტეტებში არ აისახება.</p> <p>ასე მაგალითად, ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტში დეკლარირებული პრიორიტეტი „ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანი ათვისება“ საინვესტიციო პრიორიტეტებში გადაითარგმნა როგორც „არსებული უხვი ჰიდრორესურსების მაქსიმალური ათვისება“. ის, თუ რას ნიშნავს „მაქსიმალური ათვისება“ - ბოლო წლებში დამკვიდრებული პრაქტიკიდან, ძალზე ნათელია. ეს ნიშნავს მდინარეთა კალაპოტებში, ვრცელ მონაკვეთებზე, წყლის ნაკადის მხოლოდ 10 პროცენტის დატოვებას და დანარჩენის ენერგეტიკული დანიშნულებით გამოყენებას; სხვა სიტყვებით - მდინარეთა და მდინარეებზე დამოკიდებულ ეკოსისტემათა დეგრადაციას.</p> <p>რაც შეეხება ფინანსურ ინსტრუმენტებს, ამჟამად, საქართველოში გამოიყენება შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები: სახელმწიფო პროგრამა „ანარმოდ საქართველოში“<sup>26</sup>, თავისუფალი ინდუსტრიული ზონები<sup>27</sup> და თავისუფალი ტურისტული ზონები<sup>28</sup>. სამხუხაროდ, არცერთი ეს ინსტრუმენტი არ ითვალისწინებს გარემოს საკითხებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ გამოყენებას, შესაძლოა, მოჰყვეს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე.</p>
<p><b>სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ) - გარემოს საკითხების პოლიტიკაში ინტეგრაციის ინსტრუმენტი<sup>29</sup></b></p>					
<p>არსებობს, თუ არა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ-ს) შესახებ კანონმდებლობა?<sup>30</sup></p>				<p>X</p>	<p>კანონმდებლობა არ არსებობს, თუმცა არსებობს სგშ-ს საცდელად გამოყენების პრაქტიკა, დონორთა მიერ მხრდაჭერილი პროექტების ფარგლებში. ამჟამად მუშავდება კანონპროექტი, რომელიც მოიცავს თავს სგშ-ზე (იხ. ქვემოთ მე-14 პუნქტი).</p>

<sup>25</sup> საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ვებ-გვერდი: [http://www.energy.gov.ge/investor.php?id\\_pages=16&lang=geo](http://www.energy.gov.ge/investor.php?id_pages=16&lang=geo)

<sup>26</sup> პროგრამის ვებ-გვერდი: <http://qartuli.ge/>

<sup>27</sup> საქართველოს 2007 წლის 3 ივლისის კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21994>

<sup>28</sup> საქართველოს 2010 წლის 26 ოქტომბრის კანონი „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“ ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1073482>

<sup>29</sup> ასოცირების შეთანხმებით, საქართველომ აიღო ვალდებულება, დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2001 წლის 27 ივნისის 2001/42/EC დირექტივის (Directive 2001/42/EC of the European Parliament and of the Council of 27 June 2001 on the assessment of the effects of certain plans and programmes on the environment) მოთხოვნებს.

<sup>30</sup> ეს მოთხოვნა საქართველომ უნდა შეასრულოს ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

დადგენილია, თუ არა კომპეტენტური ორგანო(ები)? <sup>31</sup>				X	კანონპროექტით განსაზღვრულია კომპეტენტური ორგანოები: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.  კანონპროექტი ჯერ არ წარდგენილა პარლამენტში განსახილველად, ამდენად მან, შესაძლოა, განიცადოს ცვლილებები.
დადგენილია, თუ არა პროცედურები, იმ გეგმებისა და პროგრამების გამოსავლენად, რომელთაც უნდა ჩაუტარდეთ სგმ? <sup>32</sup>				X	კანონპროექტით დადგენილია პროცედურები, იმ „სტრატეგიული დოკუმენტების“ გამოსავლენად, რომელთაც უნდა ჩაუტარდეთ სგმ.  კანონპროექტი ჯერ არ წარდგენილა პარლამენტში განსახილველად, ამდენად მან, შესაძლოა, განიცადოს ცვლილებები.
დადგენილია, თუ არა გარემოსდაცვით უწყებასთან და საზოგადოებასთან კონსულტირების პროცედურები? <sup>33</sup>				X	კანონპროექტი ადგენს გარემოსდაცვით უწყებასთან და საზოგადოებასთან კონსულტირების პროცედურებს.  კანონპროექტი ჯერ არ წარდგენილა პარლამენტში განსახილველად, ამდენად მან, შესაძლოა, განიცადოს ცვლილებები.
დადგენილია, თუ არა ინფორმაციის გაცვლისა და კონსულტირების მექანიზმი ევროკავშირის იმ წევრ ქვეყნებთან, რომელთა გარემოზეც გეგმამ ან პროგრამამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს? <sup>34</sup>				X	კანონპროექტი ითვალისწინებს ტრანსსასაზღვრო სგმ-ს ჩატარების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ სტრატეგიულმა დოკუმენტმა, რომელიც ხორციელდება საქართველოში შესაძლოა მნიშვნელოვანი ტრანსსაზღვრო ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე (თუ სტრატეგიული დოკუმენტი ხორციელდება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე - საქართველოს გარემოზე).  კანონპროექტში არ არის პირდაპირი მითითება ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე. კანონპროექტით, ტრანსსაზღვრო სგმ ჩატარდება „იმ შემთხვევაში, თუ სხვა სახელმწიფოს გარემოსდაცვით სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი აქვს მსგავსი ტიპის ვალდებულება ან საქართველოსა და ამ სახელმწიფოს შორის გაფორმებულია ორმხრივი ხელშეკრულება გარემოზე ტრანსსაზღვრო [ზემოქმედების შეფასების] პროცედურების განხორციელების თაობაზე“.  კანონპროექტი ჯერ არ წარდგენილა პარლამენტში განსახილველად, ამდენად მან, შესაძლოა, განიცადოს ცვლილებები.
ასოციირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, მიმდინარეობს, თუ არა მუშაობა სგმ-ს შესახებ კანონმდებლობაზე?	X				გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, ამჟამად შემუშავების პროცესში მყოფი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პროექტში, ცალკე თავი დაუთმო სგმ-ს. კანონპროექტის პარლამენტისთვის განსახილველად წარდგენა 2016 წლის გაზაფხულზე იგეგმებოდა, თუმცა, ეს გეგმა ვერ შესრულდა. ამდენად, კანონპროექტის განხილვა ახალარჩეულ, 2016 წლის მოწვევის პარლამენტს მოუწევს.

<sup>31</sup> ეს მოთხოვნა საქართველომ უნდა შეასრულოს ასოციირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში.

<sup>32</sup> ეს მოთხოვნა საქართველომ უნდა შეასრულოს ასოციირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

<sup>33</sup> ეს მოთხოვნა საქართველომ უნდა შეასრულოს ასოციირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

<sup>34</sup> ეს მოთხოვნა საქართველომ უნდა შეასრულოს ასოციირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში.

პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი				
არსებობს, თუ არა ერთობლივი კომიტეტები/საბჭოები ან იდგმება, თუ არა სხვა მსგავსი ნაბიჯები გარემოს საკითხების სხვა სექტორებში ინტეგრაციისთვის?				საქართველოში არ არსებობს რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავდა პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისა და განახლების მეთოდოლოგიას, მათ შორის, დაინტერესებული მხარეების ჩართვის საჭიროებასა და ფორმებს. ამდენად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დაინტერესებული მხარეების ჩართვის ფორმატი განსხვავებულია და დამოკიდებულია იმ სახელმწიფო უწყების ნებაზე, რომელიც უძღვება პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესს.
თამაშობს, თუ არა აქტიურ როლს სამოქალაქო საზოგადოება პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში?			X	პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვის პრაქტიკა სუსტია.
პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება				
ხდება თუ არა პოლიტიკის დოკუმენტების შესრულების მონიტორინგი და შედეგების შეფასება?			X	პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა საქართველოში უკიდურესად სუსტია; მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, პრაქტიკულად, არ არსებობს. არ ხდება სექტორული სტრატეგიების შეფასება და განწერილი პრიორიტეტებისა და ამოცანების შესრულების მონიტორინგი. ამის გამო, ვერ დგინდება და ფასდება, გამოიღო თუ არა კონკრეტული შედეგი ამ თუ იმ პოლიტიკამ რომელიმე სექტორში და რამდენად იქნა მიღწეული პოლიტიკის მიზნები. შესასაბამისად, ვერ ფასდება, რა ზეგავლენა იქონია პოლიტიკამ და მასში დასახულმა პრიორიტეტებმა გარემოზე <sup>35</sup> . ასევე, ვერ ხდება საზოგადოებასთან მონიტორინგისა და შეფასების შედეგების შესახებ ანგარიშგება.
საერთო შეფასება				
<b>საერთო შეფასება: 0-დან 51-მდე (3 X კითხვების რაოდენობაზე)</b>	10	<b>პროგრესი 2007 - 2012 წ.წ.</b> <sup>36</sup>		
		2007-2008 წ.წ.	2009-2010 წ.წ.	2011-2012 წ.წ.
<b>საერთო ქულა = მიღწევად მაქსიმალურ ქულასთან პროცენტული თანაფარდობა</b>	19.6%	5.5 %	16.7%	16.7%

<sup>35</sup> იხ. პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია: 2015-2017 (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 აგვისტოს #427 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აპრილის #186 დადგენილებით). ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3259832>

<sup>36</sup> გარემოს საკითხების სხვა სექტორებში ინტეგრაციის ვალდებულებას მოიცავდა ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმა. მწვანე ალტერნატივა, წლების განმავლობაში, მონიტორინგს უწევდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების, მათ შორის, ამ ვალდებულების შესრულების მდგომარეობას და აფასებდა მისი შესრულების პროგრესს აქ გამოყენებული მეთოდოლოგიით. ამდენად, ამჟამად შესაძლებელია წარმოჩინდეს ვალდებულების შესრულების მდგომარეობის გაუმჯობესების ან გაუარესების ტენდენცია 2007-2016 წლებში.

### **კომენტარები, განმარტებები, რეკომენდაციები ზოგადი შეფასებისთვის:**

პოლიტიკის დაგეგმვის სისტემა, საქართველოში, მნიშვნელოვან დახვეწას საჭიროებს. სექტორული პოლიტიკა ქვეყნის განვითარების ყველა სფეროში ნათელი არ არის; არ არსებობს ოფიციალურად დეკლარირებული საინვესტიციო პოლიტიკა. მიუხედავად აღნიშნულისა, არსებული პოლიტიკის დოკუმენტებიდანაა შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. პოლიტიკის განსაზღვრულ დოკუმენტებში დასახულია ისეთი მიზნები და პრიორიტეტები, რომლებსაც შესაძლოა, მოჰყვეს მნიშვნელოვანი პირდაპირი ან ირიბი უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე; ზოგ შემთხვევაში, იმავე დოკუმენტებში მოცემულია გარემოზე პოტენციურად დადებითი ზეგავლენის მქონე პრიორიტეტებიც, მაგრამ ისინი არ არის მიმართული იმავე პოლიტიკის შესაძლო უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებაზე, შერბილებაზე ან კომპენსირებაზე.
2. შეინიშნება არათანმიმდევრულობა პოლიტიკის დოკუმენტებით დადგენილ მიზნებსა და პრიორიტეტებში: ხშირად, ერთადაა მოცემული (ერთ კონტექსტშია განხილული) სხვადასხვა მიმართულების და დონის პრიორიტეტები; ან პოლიტიკის დოკუმენტში მოცემულია ისეთი პრიორიტეტები, რომლებსაც ლოგიკურად, რომელიმე უწყების სამოქმედო გეგმაში უნდა ვხვდებოდეთ. აღნიშნული მეტყველებს პოლიტიკის დამგეგმავი უწყებების დაბალ კომპეტენციაზე.
3. მაშინ, როდესაც პოლიტიკის დოკუმენტებით განსაზღვრული პრიორიტეტების განხორციელებას (მაგალითად, გზების გაყვანას ან ჰიდრო-რესურსების ათვისებას) შეიძლება გარემოს ფიზიკური ცვლილებები მოჰყვეს, თითქოსდა, ამის საპირწონედ დოკუმენტებში მოცემული გარემოსდაცვითი პრიორიტეტები, უმეტესად, მხოლოდ და მხოლოდ გარემოსდაცვითი მართვის ინსტრუმენტების დახვეწას ეხება. პოლიტიკის დოკუმენტებში ვერ შეხვდებით ისეთ ვალდებულებებს როგორცაა, მაგალითად, დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოება, დაბინძურებული, დეგრადირებული ტერიტორიების რეაბილიტაცია, ანდა თუნდაც, უფრო სუფთა წარმოების ხელშესაწყობად კონკრეტული მექანიზმების დანერგვა.

**მიზანი 2**

**გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) კანონის დაახლოება  
ევროკავშირის კანონმდებლობასთან**

**ამონარიდი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან:**

**302-ე მუხლის პირველი პუნქტი:** „თანამშრომლობა მიზნად ისახავს გარემოს ხარისხის შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას... მათ შორის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: (ა) გარემოსდაცვითი მმართველობა და ჰორიზონტული საკითხები, მათ შორის სტრატეგიული დაგეგმვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება...“.

**დანართი XXVI „გარემოს დაცვა“.** საქართველო იღებს ვალდებულებას განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს შემდეგ სფეროებში: გარემოსდაცვითი მმართველობა და გარემოს საკითხების პოლიტიკის სხვა სფეროებში ინტეგრირება:

- 2011 წლის 13 დეკემბრის 2011/92/EU დირექტივა „გარკვეული სახელმწიფო და კერძო პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ (კოდიფიცირებული);
- 2001 წლის 27 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001/42/EC დირექტივა „გარკვეული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“; და
- 2003 წლის 26 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/35/EC დირექტივა „გარემოსთან დაკავშირებული კონკრეტული გეგმებისა და პროგრამების შემუშავებაში საზოგადოების მონაწილეობას უზრუნველყოფის შესახებ, რომელსაც ასევე ცვლილებები შეაქვს საბჭოს 85/337/EEC და 96/61/EC დირექტივებში საზოგადოების მონაწილეობასთან და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით“.

**შეფასება**

კითხვა	დიახ				არა	განმარტება
	3	2	1	0		
<b>ქულა</b>	<b>3</b>	<b>2</b>	<b>1</b>	<b>0</b>		

**ზოგადი**

<p>მოითხოვს, თუ არა არსებული კანონმდებლობა გზმ-ს ჩატარებას იმ საქმიანობებისთვის, რომელთა განხორციელებასაც, შესაძლებელია, მოჰყვეს მნიშვნელოვანი ზეგავლენა ბუნებრივ რესურსებსა და გარემოზე? თუ არა, დაგეგმილია, თუ არა მსგავსი კანონმდებლობის მიღება?</p>			X		<p>გზმ-ის მარეგულირებელმა კანონმდებლობამ არ განიცადა ცვლილებები, მისი გაუმჯობესების თვალსაზრისით. გზმ კანონმდებლობაში დღემდე პრობლემურად რჩება შემდეგი საკითხები:</p> <p>(ა) კანონმდებლობა ადგენს იმ საქმიანობების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთაც უნდა ჩაუტარდეთ გზმ. ჩამონათვალი კვლავ არ მოიცავს ისეთ საქმიანობებს, როგორიცაა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა, სასოფლო-სამეურნეო და კვების, ხე-ტყის გადამამუშავებელი, ქაღალდის, ტყავის და საფეიქრო წარმოება, ზოგიერთი ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტები (საქმიანობები, რომლებიც 2005 წელს “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” კანონის მიღებამდე, ექვემდებარებოდა გზმ-ს). საქმიანობათა ამჟამად არსებული ჩამონათვალი არ შეესაბამება ევროკავშირის 85/337/EEC დირექტივის პირველი დანართით განსაზღვრულ ჩამონათვალს და ორჰუსის კონვენციის პირველი დანართით განსაზღვრულ ჩამონათვალს. კანონი ასევე არ მოიცავს ე.წ. “ღია” დებულებას გარკვეული ტიპის საქმიანობებისთვის, როგორც ეს განსაზღვრულია ევროკავშირის 85/337/EEC დირექტივით (მე-2 დანართის საქმიანობები).</p>
---	--	--	---	--	--

				<p>(ბ) საქმიანობებისთვის გზმ-ს ჩატარება სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ მათ ახორციელებენ კერძო პირები; სახელმწიფო პროექტების შემთხვევაში, გზმ-ს ჩატარება არ არის სავალდებულო. გარდა ამისა, კანონი "ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" შესაძლებელს ხდის კერძო პროექტების განხორციელების შემთხვევაშიც კი, გზმ-ს ჩატარებისა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღებისგან თავის არიდებას, იმ პირობით, რომ ეს ვალდებულება მომავალში შესრულდება.</p> <p>გარდა აღნიშნული ნაკლოვანებებისა, 2015 წელს გზმ-ს მარეგულირებელ კანონში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც არა დაგეგმილ, არამედ მიმდინარე საქმიანობებს ეხება. ეს ცვლილება აღწერილია ქვემოთ, დასასრულს, ზოგადი განმარტებების სექციაში.</p>
დაკავშირებულია, თუ არა გზმ-ს პროცესი საქმიანობის დაწყების უფლების მინიჭებასთან და პირობების დაყენებასთან?			X	<p>გზმ-ს პროცესი წარმოადგენს საქმიანობის დაწყების უფლების მინიჭების ნაწილს. ამასთან, იმისათვის, რომ საქმიანობის ინიციატორმა დაიწყოს დაგეგმილი საქმიანობა, გარდა გზმ-სა და მასთან დაკავშირებული ნებართვის მოპოვების პროცესისა, საქმიანობის ტიპიდან გამომდინარე, ინიციატორს შესაძლოა მოსაპოვებელი ჰქონდეს საქმიანობის დაწყების უფლების მიმნიჭებელი სხვა ნებართვები/ლიცენზიები/თანხმობები.</p> <p>ზოგ შემთხვევაში, გზმ პროცესი ინტეგრირებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურაში (თუ დაგეგმილი საქმიანობა მოიცავს [კანონმდებლობით რეგულირებული] სამშენებლო სამუშაოების წარმოებას და აუცილებელია მშენებლობის ნებართვის ქონა).</p> <p>ასეთ შემთხვევაში, პრობლემატურია ის, რომ მშენებლობის ნებართვა გაიცემა მშენებლობის ვადით, მაშინ როდესაც გარემოსდაცვითი პირობები საქმიანობის ინიციატორს უწესდება არა მხოლოდ მშენებლობის, არამედ ექსპლუატაციისა და ექსპლუატაციიდან გამოყვანის ეტაპებისთვისაც. ეს არალოგიკურს ხდის გზმ პროცესისა და გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცესის მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში ინტეგრირებას.</p>
<b>სტრუქტურები</b>				
არის, თუ არა ნათლად განსაზღვრული და განაწილებული ვალდებულებები ხელისუფლების ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანოებს შორის?				<p>კითხვა არ არის რელევანტური საქართველოსთვის. რეგიონულ (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა) და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს გზმ სისტემაში არანაირი როლი არ გააჩნიათ (არც გადაწყვეტილების მიღებაში და არც შემდგომ, შესრულების მონიტორინგსა და კონტროლში). გადანაცვლებების ექსკლუზიური მიმღებია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.</p>
არის, თუ არა მარეგულირებელი ორგანოების შესაძლებლობები სავმარისი?			X	

პროცედურა					
არსებობს, თუ არა ნათლად ჩამოყალიბებული კრიტერიუმები და პროცედურები, რომლებიც განსაზღვრავენ, ექვემდებარება, თუ არა ესა თუ ის საქმიანობა გზმ-ს?			X		ხშირ შემთხვევაში, საქმიანობები წარმოდგენილია ბღვრების გარეშე, რაც გზმ-ს საჭიროების შესახებ გადანყვეტილების მიღების ტვირთს აკისრებს სამინისტროს და მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს, რომელთაც არ გააჩნიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა გარემოზე.
არსებობს, თუ არა წინასწარი სკრინინგის პროცედურა, რათა გადანყვედეს საჭიროებს, თუ არა ესა თუ ის პროექტი გზმ-ს ჩატარებას?				X	
არსებობს, თუ არა სკოპინგის პროცედურა, რათა დადგინდეს შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედებები და შემდგომ ეტაპზე შესაფასებელი ძირითადი ალტერნატივები?				X	
ნათლად არის დადგენილი, თუ არა, რა სახის ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს პროექტის განმახორციელებელმა გზმ ანგარიშში? ანუ დაწესებულია, თუ არა მინიმალური მოთხოვნები გზმ-ს შინაარსისადმი?			X		არსებობს დებულება, რომელიც განსაზღვრავს ზოგად მოთხოვნებს გზმ ანგარიშის შინაარსისადმი.
არსებობს, თუ არა საკონსულტაციო პროცედურები იმ სახელმწიფო ორგანოებთან, რომელთაც შესაძლოა გააჩნდეთ თავისი მოსაზრებები/ პოზიცია პროექტთან დაკავშირებით და რამდენად კარგად გამოიყენება ისინი?				X	
მოთხოვს, თუ არა კანონმდებლობა მკაფიოდ შესაბამისი ქვეყნის ორგანოების და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებების შემთხვევაში?				X	

<p>მოითხოვს, თუ არა კანონმდებლობა მკაფიოდ შესაბამისი ქვეყნის ორგანოებსა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის ჩატარებას ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებების შემთხვევაში?</p>				X	
<p>არსებობს, თუ არა პროცესის ადრეულ ეტაპზე საზოგადოების ეფექტური ინფორმირების ნათლად განსაზღვრული პროცედურები?</p>				X	
<p>აქვს, თუ არა საზოგადოებას შესაძლებლობა ადრეულად და ეფექტურად მიიღოს მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადანაცვტილებების მიღების პროცედურებში?</p>				X	
<p>მიიღება, თუ არა მხედველობაში საზოგადოებასთან და შესაბამის გარემოსდაცვით ორგანოებთან კონსულტაციების შედეგები გადანაცვტილებების მიღების პროცესში?</p>				X	<p>დღემდე არ არსებობს პროცედურა, რომელიც შესაძლებელს გახდის საზოგადოების ან ცენტრალური, რეგიონული თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მოსაზრებების გამოვლენას.</p>
<p>მოეთხოვება, თუ არა კომპეტენტურ ორგანოს, შეატყობინოს საზოგადოებას გადანაცვტილება ნებართვის/ ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ?</p>			X		<p>2012 წლის მაისამდე საქართველოს კანონმდებლობა არ ავალდებულებდა სახელმწიფო უწყებებს შეეტყობინებინათ საზოგადოებისთვის ნებართვის ან ლიცენზიის, მათ შორის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის, გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ.</p> <p>2012 წლის მაისიდან ნებართვის გამცემი უწყება ვალდებულია, გადანაცვტილებების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში გამოაქვეყნოს ინფორმაცია ნებართვის გაცემის, მასში ცვლილების შეტანის ან მისი გაუქმების შესახებ. კანონი არააფერს ამბობს, სად უნდა გამოქვეყნდეს ეს ინფორმაცია (ლიცენზიებისგან განსხვავებით - ლიცენზიები, კანონით, უნდა გამოქვეყნდეს საქართველოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“).</p> <p>პრაქტიკაში, თავდაპირველად, მიუხედავად კანონის მოთხოვნისა, გაცემული ნებართვების შესახებ ინფორმაცია არ ქვეყნდებოდა. ამ ინფორმაციის გამოქვეყნების არაერთი მოთხოვნის შემდეგ, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ დაიწყო თავის ვებ-გვერდზე (და არა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“) გაცემული ნებართვების რუტინულად გამოქვეყნება.</p>

მოეთხოვება, თუ არა კომპეტენტურ ორგანოს, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შემთხვევაში, აცნობოს იმ ქვეყნების ორგანოებს, რომლებთანაც გაიარა კონსულტაცია, გადანაცვეტილება პროექტის განხორციელებაზე თანხმობის ან უარის თქმის შესახებ?					კითხვა არ არის რელევანტური საქართველოსთვის.
ნათლად არის, თუ არა განსაზღვრული ინფორმაციის მიღების უფლებიდან გამონაკლისები, მაგ, კომერციული საიდუმლო?			X		არსებობს კონფიდენციალობის დაცვის შესახებ რამოდენიმე ზოგადი დებულება.
შუქლია, თუ არა საქმიანობის უფლების მინიჭებაზე საბოლოო გადანაცვეტილების (development consent) მიღებ ორგანოს თავის დადებით გადანაცვეტილებას დაურთოს პირობები?				X	საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს development consent-ის ცნებას. მშენებლობის ნებართვაში სხვა ნებართვების ფორმალური ინტეგრაცია შეიძლება განვიხილოთ ამგვარი ნებართვის/ თანხმობის შემოღების მცდელობად. იხ. განმარტება მე-2 კითხვაზე ზემოთ.
ნათლად არის, თუ არა განსაზღვრული საზოგადოების უფლება გაასაჩივროს მიღებული გადანაცვეტილება და როგორ სრულდება ეს მოთხოვნა?			X		საზოგადოებას აქვს გადანაცვეტილებების გასაჩივრების უფლება და არსებობს პროცედურებიც, თუმცა უამრავი პრობლემაა ამ უფლების განხორციელებაში. აღვნიშნავთ მხოლოდ რამოდენიმეს: მაღალი საბაჟო გადასახადი, ძალზე ხანგრძლივი სასამართლო პროცედურები, სასამართლოთა შეზღუდული დამოუკიდებლობა და შესაბამისად, სასამართლოს მიმართ დაბალი ნდობა.
მოიცავს, თუ არა გზმ-ს პროცედურა მოთხოვნებს ნებართვის გაცემის შემდგომ მონიტორინგისა და კონტროლის შესახებ? თუ მოიცავს, რადენად კარგად გამოიყენება ეს მოთხოვნები?			X		2010 წლიდან კანონი “გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ” მოიცავს სპეციალურ მუხლს, რომელიც ნებართვის გაცემის შემდგომ კონტროლს ეხება.
<b>საერთო შეფასება</b>					
<b>საერთო შეფასება: 0-დან 54-მდე (3 X კითხვების რაოდენობაზე)</b>	9	<b>პროგრესი 2007 - 2012 წ.წ.<sup>37</sup></b>			
		2007-2008 წ.წ.	2009-2010 წ.წ.	2011-2012 წ.წ.	
<b>საერთო ქულა = მიღწევად მაქსიმალურ ქულასთან პროცენტული თანაფარდობა</b>	16.7 %	16.7 %	16.7 %	16.7 %	

<sup>37</sup> გარემოს საკითხების სხვა სექტორებში ინტეგრაციის ვალდებულებას მოიცავდა ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმაც. მწვანე ალტერნატივა, წლების განმავლობაში, მონიტორინგს უწევდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების, მათ შორის, ამ ვალდებულების შესრულების მდგომარეობას და აფასებდა მისი შესრულების პროგრესს აქ გამოყენებული მეთოდოლოგიით. ამდენად, ამჟამად შესაძლებელია წარმოჩინდეს ვალდებულების შესრულების მდგომარეობის გაუმჯობესების ან გაუარესების ტენდენცია 2007-2016 წლებში.

## **კომენტარები, განმარტებები, რეკომენდაციები ზოგადი შეფასებისთვის:**

გზმ-ის მოქმედი სისტემა სავსეა ნაკლოვანებებით, რაც მის ეფექტურობაზე აისახება. სისტემა ვერ უზრუნველყოფს ვერც საზოგადოების ინფორმირებასა და მონაწილეობას გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში და ვერც გადაწყვეტილებათა მიმღებ პირებს ეხმარება ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. ძალზე სუსტია ნებართვის გაცემის შემდგომი მონიტორინგი და კონტროლიც. საქართველოს გზმ-ს მარეგულირებელი კანონმდებლობა არ შეესაბამება არც ორპუსის კონვენციის და არც ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების მოთხოვნებს. სისტემის ამჟამად არსებული სახით ჩამოყალიბებაზე გადამწყვეტი ზეგავლენა იქონია ხელისუფლების მიერ 2003 წლის “ვარდების რევილუციის” შემდეგ აღებული საყოველთაო დერეგულირების კურსმა და ზოგადად, ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცედურების შესუსტების საერთო ტენდენციამ. ეს სურათი, სამწუხაროდ, უცვლელი დარჩა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციური ძალების გამარჯვებისა და ხელისუფლების ცვლილების შემდგომაც.

ერთადერთი დადებითი ტენდენცია ამ სფეროში არის ის, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ დაიწყო გზმ-ს მარეგულირებელი ახალი საკანონმდებლო აქტის შემუშავება. გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ კოდექსის პროექტი (ესაა ახალი აქტის დასახელება) მნიშვნელოვან სიახლეებს მოიცავს და ბევრად აუმჯობესებს ამჟამად მოქმედ გზმ სისტემას. მაგალითად: კანონპროექტით შემოტანილია სკრინინგისა და სკოპონგის ეტაპები; დაიხვეწა იმ საქმიანობათა ჩამონათვალი, რომელიც აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს გზმ-ს; აღდგა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობა და დაემატა გზმ სისტემის უფრო ადრეულ ეტაპებზე მონაწილეობის მექანიზმები; შემოტანილი იქნა ისეთი ახალი მექანიზმები როგორცაა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება, სემ (Strategic Environmental Assessment, SEA) და ტრანსსასაზღვრო გზმ და სემ (transboundary EIA and SEA). მიუხედავად ამ დადებითი ცვლილებებისა, ორი საკითხი იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას და საჭიროებს რეაგირებას, გამოსწორების თვალსაზრისით. ერთი საკითხი პროცედურული ხასიათისაა და კანონპროექტის შემუშავებისა და განხილვის პროცედურებს ეხება; მეორე კი - შინაარსობრივი ხასიათისაა.

### **1. კანონპროექტის განხილვა და საზოგადოებასთან უკავშირეობა**

გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის შემუშავება 2014 წელს დაიწყო და მისი პირველადი ვერსია 2015 წლის მაისში გახდა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი. 2015 წლის სექტემბრის დასაწყისში სამინისტრომ მომდევნო ვერსია გამოაქვეყნა. პროექტის ამ ვერსიის განსახილველად, 2015 წ. 23-24 სექტემბერს სამინისტროში შედგა დისკუსია მრგვალი მაგიდის ფორმატში. ამის შემდეგ, ცხრა თვის განმავლობაში, უცნობი იყო, რა ბედი ეწია კანონპროექტს. კანონპროექტის მომდევნო ვერსია მხოლოდ და მხოლოდ 2016 წლის ივნისის ბოლოს გამოქვეყნდა და საზოგადოებას მიეცა დაახლოებით ორი კვირის ვადა შენიშვნების წარსადგენად. ამის შემდეგ, კანონპროექტის ასავალ-დასავალი კვლავ უცნობია საზოგადოებისთვის (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ისევე როგორც სხვა სამინისტროები, არ მართავენ შეხვედრებს დაინტერესებულ მხარეებთან, მაგალითად, წლის განმავლობაში დაგეგმილი საქმიანობების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად, ან/და განუული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარსადგენად). ერთი რამ ნათელია, რომ ასოცირების შეთანხმების საგზაო რუკით დადგენილ ვადაში კანონპროექტი ვერ იქნა მიღებული. სავარაუდოდ, კანონპროექტი 2016 წლის ოქტომბერში არჩეულ პარლამენტს წარედგინება განსახილველად და მისაღებად.

კანონპროექტში განხილული საკითხების სირთულიდან გამომდინარე, კანონპროექტების შემუშავების პროცესის დროში განვლვა არ იყო მოულოდნელი, მაგრამ პრობლემურია ის, რომ კანონპროექტის შემუშავების პროცესისა და პარლამენტში განსახილველად წარდგენის ვადის გადავადებისას, საზოგადოებისთვის უცნობი რჩება შეფერხების მიზეზები. გარდა ამისა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო არასდროს უზრუნველყოფს უკუკავშირს საზოგადოებასთან - განმარტების მოთხოვნის შემთხვევაშიც კი, არ განმარტავს საზოგადოების მიერ წარდგენილი შენიშვნების გაუთვალისწინებლობის მიზეზებს (ზოგჯერ, მოხელეები იმასაც კი ამბობენ, რომ შენიშვნები უბრალოდ არ მიუღიათ). ასე, მაგალითად, კანონპროექტის 2015 წლის სექტემბერში გამოქვეყნებულ ვერსიაზე მწვანე ალტერნატივამ სამინისტროს წარუდგინა შენიშვნები და კომენტარები დაახლოებით 40 გვერდზე. კანონპროექტის მომდევნო ვერსიის გაცნობისას ნათელი გახდა, რომ შენიშვნების ნაწილი სამინისტრომ გაითვალისწინა, ნაწილი კი - არა. მწვანე ალტერნატივას მოთხოვნის მიუხედავად, სამინისტრომ არ ახსნა გაუთვალისწინებლობის მიზეზები და ორგანიზაციას ურჩია, გაცნობოდა კანონპროექტის ახალ ვერსიას და კიდევ ერთხელ წარედგინა შენიშვნები, ამჯერად, ახალ ვერსიაზე (რომელიც პრინციპულ საკითხებში, პრაქტიკულად, არ განსხვავდებოდა წინა ვერსიისგან). გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ დამკვიდრებული ასეთი პრაქტიკა ყოველად მიუღებელია და ხელს უშლის საქართველოს მთავრობის მიერ საყოველთაოდ დეკლარირებული დემოკრატიული საზოგადოებისა და ინსტიტუტების მშენებლობის მიზნების მიღწევას.

**რეკომენდაცია:** კანონპროექტების შემუშავებისა და პარლამენტისთვის წარდგენის დადგენილი ვადების გადავადების მიზეზები, ასევე, ახალი ვადები და განხილვის პროცედურები ნათლად უნდა იყოს ახსნილი საზო-

გადღობისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ასევე, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ახსნას საზოგადოების მიერ წარდგენილი შენიშვნებისა და მოსაზრებების გაუთვალისწინებლობის მიზეზები. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოება დაკარგავს ნდობას თავად უწყებისა და პროცესებისადმი.

## 2. უკანონოდ წარმოებული საქმიანობების/პროექტების ლეგალიზების მექანიზმი

როგორც ზემოთ აღინიშნა, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პროექტით შემოთავაზებული მექანიზმების ნაწილი (გზმ და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა) უკვე რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით (1996 წლიდან) და ამდენად, ამ შემთხვევაში, მოქმედი ნორმები საჭიროებენ ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან დაახლოებას. პროექტით დარეგულირებული საკითხების მეორე ნაწილი აბსოლუტურად ახალია საქართველოს კანონმდებლობისთვის; ეს ახალი ინსტრუმენტებია: სგმ და ტრანსსასაზღვრო გზმ და სგმ.

გემოსხენებული მექანიზმების გარდა, კანონპროექტის დასასრულს, გარდამავალ დებულებებში, შემოტანილია **კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებთან.** ესაა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ზოგიერთი საწარმოსთვის „**მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების“ უფლების მინიჭების პროცედურა.**”<sup>38</sup> ანალოგიურ მექანიზმს ითვალისწინებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა 2015 წლის 1 ივნისიდან<sup>39</sup> და ის, პრაქტიკულად, უცვლელადაა გადმოტანილი ახალი საკანონმდებლო აქტის პროექტში. მარტივად რომ ვთქვათ, მთელი კანონპროექტი (ისევე როგორც ევროკავშირის შესაბამისი დირექტივები), ეხება **დაგეგმილი** პროექტების (საქმიანობების) და სტრატეგიული დოკუმენტების (გეგმების, პროგრამების) გარემოზე ზეგავლენის შეფასებას და მათ განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესს; და მხოლოდ ერთი (47-ე) მუხლი ეხება **უკვე მიმდინარე პროექტებს/საქმიანობებს** და მათ რეგულირებას.

კანონპროექტით შემოტანილი „მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება“ პრაქტიკულად, ახალი ტიპის ნებართვაა, რომელიც გაიცემა უკანონო საქმიანობის ლეგალიზებისთვის; იმისათვის, რომ უკანონოდ ფუნქციონირებადმა საწარმოებმა ლეგალურად შეძლონ ფუნქციონირების გაგრძელება და თანაც, უსასრულოდ. ასეთი საწარმოებია:

- საბჭოთა პერიოდიდან მომუშავე ურჩი მსხვილი დამაბინძურებელი საწარმოები, რომელთაც 25-ზე ნელზე მეტი დრო ჰქონდათ თავისი საქმიანობის თანამედროვე (ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან დღემდე მიღებულ) ნორმებთან შესაბამისობაში მოსაყვანად და რომელთათვისაც უბრალოდ არარენტაბელურია გარემოს დაბინძურების შემცირება, ადამიანთა (როგორც საწარმოებში დასაქმებულთა, ისე საწარმოთა ზეგავლენის ქვეშ მოქცეულთა) ჯანმრთელობაზე ზრუნვა და გარემოსდაცვითი ღონისძიებებში ინვესტირება. ეს საწარმოები, ბოლო 25 წლის მანძილზე, მუდმივად იყვნენ ამოფარებული კანონმდებლობასთან მათი საქმიანობის შესაბამისობაში მოყვანისთვის დადგენილ ვადებს (რომელიც მუდმივად გადავადდებოდა), ანდა იხდიდნენ ჯარიმებს და კვლავ აგრძელებდნენ ფუნქციონირებას. კანონპროექტით გათვალისწინებული უკანონო საქმიანობის ლეგალიზების მექანიზმი, ასეთ საწარმოებს, კვლავ მისცემს საშუალებას, უსასრულოდ გააგრძელონ საქმიანობა ისე, რომ კვლავაც მიაყენონ გამოუსწორებელი ზიანი გარემოსა და მათი საქმიანობის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ ადგილობრივ მოსახლეობას.
- ინვესტორები, რომლებიც მაღალი თანამდებობის პირთა მხარდაჭერითა და წახალისებით, თითქოსდა ქვეყნისთვის მაღალი ეკონომიკური სარგებლის მქონე პროექტების განხორციელებას იწყებენ სახელმწიფო ორგანოებისგან შესაბამისი ნებართვების მოპოვებამდე (ან ითხოვენ საქმიანობის გათავისუფლებას გზმ-ს ჩატარების ვალდებულებისგან, ვინაიდან ამას „საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს“). ისინი არ ატარებენ გზმ-ს, არ მოიპოვებენ ნებართვას და შესაბამისად, არღვევენ კანონს. ასეთ შემთხვევებში, მაკონტროლებელი ორგანოები, უკეთეს შემთხვევაში, როგორც წესი, შემოიფარგლებიან ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებით, ხოლო საწარმოები კვლავ აგრძელებენ უკანონოდ მუშაობას. მაკონტროლებელი ორგანოები არც კი განიხილავენ მომუშავე საწარმოების დახურვის და გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის მოთხოვნის შესაძლებლობას.

<sup>38</sup> ამ მექანიზმის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხ. მწვანე ალტერნატივას მიერ გამოცემული საჯარო პოლიტიკის ნარკვევი: „საქართველოს გარემოზე გემოქმედების შეფასების (გზმ) სისტემის ევროკავშირის შესაბამის მოთხოვნებთან დაახლოების გამომწვევები“. იანვარი, 2016. ხელმისაწვდომია: [http://greenalt.org/wp-content/uploads/2016/01/gzsh\\_sistembis-gamocvevi.pdf](http://greenalt.org/wp-content/uploads/2016/01/gzsh_sistembis-gamocvevi.pdf)

<sup>39</sup> იხ. საქართველოს კანონი „გარემოზე გემოქმედების ნებართვის შესახებ“, მე-9<sup>ა</sup> და 22-ე მუხლები.

მწვანე ალტერნატივას მიერ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან მოთხოვნილი ინფორმაციის საფუძველზე ნათელია, რომ ეს მექანიზმი ამჟამად მოქმედ 34 საწარმოს ეხება. საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, 34 კომპანიიდან მხოლოდ ექვსი ფუნქციონირებს 1990-იანი წლებიდან; 13-მა - 2010-2015 წლებში დაიწყო ოპერირება; დანარჩენი 12 კომპანია 2000-2010 წლებში დარეგისტრირდა. კომპანიების მიერ წარმოებული საქმიანობები (ქიმიური მრეწველობა, ტყავის მრეწველობა, ნარჩენების გადამუშავება და განთავსება, საშენ მასალათა მრეწველობა, მეტალურგია, სოფლის მეურნეობა და ენერჯეტიკა) გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის მაღალი რისკით ხასიათდება. გარდა ამისა, უმეტეს შემთხვევაში, ისინი, ხშირად, განთავსებული არიან, ისედაც მნიშვნელოვნად დაბინძურებულ დასახლებულ პუნქტებში (34-დან 17, ანუ საწარმოების ნახევარი დედაქალაქშია განთავსებული, სადაც ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარი ცხოვრობს).

კანონპროექტით შემოტანილი ზემოხსენებული მექანიზმი არათუ არ უწყობს ხელს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებთან დაახლოებას, არამედ, პირიქით, აშორებს მას. ის პირდაპირ მიმართულია უკანონოდ წარმოებული საქმიანობების ლეგალიზებაზე და არც კი იხილავს იმის შესაძლებლობას, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ უარი თქვას უკანონოდ წარმოებული საქმიანობის გაგრძელებაზე, გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის მოსაზრებებით. მექანიზმი მიკერძოებულია არაკანონმორჩილი მენარმეების და არასამართლიანია კანონმორჩილი მენარმეების მიმართ; ის, ასევე, ქმნის კორუფციული გარიგებების დადების ფართო შესაძლებლობებს და ხელს უწყობს გარემოს შეუქცევად დეგრადაციას.

### **რეკომენდაციები:**

1. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პროექტის ის ნაწილი, რომელიც „მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ“ გადაწყვეტილების მიღების მექანიზმს ეხება, მთლიანად ამოღებულ უნდა იქნეს კანონპროექტიდან, უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ ის კანონპროექტით რეგულირებული საკითხებისგან პრინციპულად განსხვავებულ სფეროს ეხება.
2. „მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ“ გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის შემოღების ნაცვლად, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ უნდა მოახდინოს რეგულირებადი საწარმოების სრული ინვენტარიზაცია და დაანესოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა აღსრულების ხელშეწყობის სამართლიანი და გამჭვირვალე სისტემა.
3. აუცილებელია კანონდარსებების კონტროლის კანონმდებლობის სრულყოფა და ამის პარალელურად, „პრობლემური“ საწარმოების სპეციფიური ჯგუფების (და თითოეულ ჯგუფში კონკრეტული ობიექტების) მიმართ კონკრეტული მიდგომების შემუშავება; თითოეულ ჯგუფზე მიმართული, კანონდასრულების ხელშეწყობის ქმედითი და რეალისტური, მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმების შემუშავება. ამისათვის, თავის მხრივ, აუცილებელია საჭირო ხარჯების გათვლა და შესაბამისი სტრუქტურების ბიუჯეტში ასახვა. ძალზე მნიშვნელოვანია, ასევე, გეგმების საზოგადოებისთვის გაცნობა და საზოგადოებრივი აზრის მოსმენა.

დასასრულს, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზეც, რომ პარლამენტში განხილვების შედეგად, კანონპროექტმა, შესაძლოა, განიცადოს ისეთი ცვლილებები, რომლებმაც საქართველოს კანონმდებლობა არათუ დაახლოვოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან, არამედ, პირიქით, დააშოროს კიდევ. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირმა, დონორებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ პარლამენტში კანონპროექტის განხილვის პროცესს.

**მიზანი 3**

**ბიომრავალფეროვნება და ტყის მართვა**

**შესაბამისი ტექსტი შეთანხმებიდან (ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ ნევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის )**

ბიომრავალფეროვნებასა და ტყის მდგრად მართვასთან დაკავშირებული და მათი მომიჯნავე საკითხები ასევე აღნიშნულია შეთანხმების 301 - 305 მუხლებში (გარემოს დაცვა), 232-ე მუხლში (ბიომრავალფეროვნება), 233 მუხლში (ტყის მდგრადი მართვა და ხე-ტყის ნაწარმით ვაჭრობა)

შეთანხმების დანართებში (დანართი XXVI, „გარემო“) ცალკე არის გამოყოფილი თავი „ბუნების დაცვა“, რომელიც გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის ორი დირექტივის მოთხოვნებთან: 2009 წლის 30 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/147/EC დირექტივა „გარეული ფრინველების კონსერვაციის შესახებ“ და 1992 წლის 21 მაისის საბჭოს 92/43/EC დირექტივა „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“, 97/62/EC, 2006/105/EC დირექტივების და (EC)N1882/2003 რეგულაციის მიერ შეტანილი შესწორებების შესაბამისად

**შეფასება**

კითხვა	დიახ			არა	შენიშვნა
	3	2	1	0	
ქულა	3	2	1	0	

**ბიომრავალფეროვნება**

<p><b>განისაზღვრა, თუ არა კომპეტენტური ორგანოები („გარეული ფრინველების კონსერვაციის შესახებ“ და „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ დირექტივებთან დაკავშირებით)?</b></p>				X	კომპეტენტური ორგანოები უნდა განისაზღვროს „ბიომრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის და „ნადირობის შესახებ“ საქართველოს კანონის შემუშავების შედეგად. აღნიშნულ კანონპროექტებზე მიმდინარეობს მუშაობა (იხ. ქვემოთ)
<p><b>მიმდინარეობს, თუ არა მუშაობა ეროვნული კანონმდებლობის შემუშავების მიმართულებით?</b></p> <p>(„გარეული ფრინველების კონსერვაციის შესახებ“ და „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ დირექტივებთან დაკავშირებით)</p>				X	მიმდინარეობს მუშაობა ახალი ეროვნული კანონმდებლობის შესამუშავებლად. 2015 წლის 12 ნოემბერს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის პირველი ვერსია გამოაქვეყნა. კანონპროექტის ეს ვერსია „გარეული ფრინველების კონსერვაციის შესახებ“ და „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ დირექტივებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ მრავალ ხარვეზს შეიცავდა. კანონპროექტის ტექსტიდან და განმარტებითი ბარათიდან გამოიკვეთა, რომ ბიომრავალფეროვნების საფრთხეებთან, მის კონსერვაციასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული არაერთი პრობლემური (სფერო), რომელთა დარეგულირებაც განსაზღვრული იყო 2014-2020 წწ.

				<p>საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიითა და მოქმედებათა გეგმით (შემდგომში - "სბსმგ")<sup>40</sup>, კვლავ დაურეგულირებელი რჩებოდა. მაგალითად, კანონპროექტით არ იყო სათანადოდ დაურეგულირებული ბიომრავალფეროვნების ისეთი საფრთხეები, როგორცაა ჰაბიტატების განადგურება, დეგრადაცია (მათ შორის გარემოს დაბინძურების შედეგად) და ფრაგმენტაცია; ინვაზიური სახეობებისა და დაავადებების გავრცელება (განსაკუთრებით მცენარეებთან მიმართებაში); პრაქტიკულად არ იყო განხილული ბიოსაფრთხეების, ასევე არამერქნული მცენარეული რესურსების კონსერვაციისა და გამოყენების საკითხები. საზოგადოების ინფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის სამართლებრივი მექანიზმები უგულებელყოფილი იყო მთელი რიგი ისეთი საკითხების გადანაცვებისას, რომლებზეც არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი (იხ. სბსმგ ეროვნული მიზანი - A.2. და მისი ამოცანები); არ იყო განსაზღვრული პროცედურები, რომლებითაც ჰაბიტატების დაცვის მიზნით ტერიტორიას შეიძლება მიენიჭოს „ზურმუხტის ქსელში ჩართული ტერიტორიის“ ან „ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის სტატუსი“; არ იყო განსაზღვრული ამ პროცესში საზოგადოების მონაწილეობის სამართლებრივი მექანიზმები; ასევე არ იყო განსაზღვრული ამ ტერიტორიების მართვის მექანიზმები.</p> <p>კანონპროექტის განსაკუთრებულ ნაკლს წარმოადგენდა, რომ საერთოდ იგნორირებული იყო ნადირობისა და თევზჭერის (როგორც სამოყვარულო, ისე კომერციული თევზჭერის) საკითხები. ცხადი შეიქნა, რომ ამ საკითხების კანონპროექტის შემუშავების საწყის ეტაპზე გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინააღმდეგობრივ კანონმდებლობას მივიღებდით, რაც საბოლოო ჯამში ბიომრავალფეროვნების დეგრადაციას გამოიწვევდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრომ სასწრაფოდ დაიწყო მუშაობა საქართველოს კანონზე „ნადირობის შესახებ“. კანონპროექტი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი (საჯარო განხილვისათვის) 2016 წლის აგვისტოში გახდა. კანონპროექტმა უნდა დაარეგულიროს „გარეული ფრინველების კონსერვაციის შესახებ“ დირექტივის გარკვეული საკითხები. დღეისათვის კანონპროექტთან დაკავშირებით ბევრი კითხვა არსებობს. დაინტერესებულ მხარეებს შორის (მათ შორის სამინისტროს შიგნით) არ არსებობს თანხმობა ნადირობის მენეჯმენტის პრინციპული საკითხების თაობაზე. რაც შეეხება „ბიომრავალფეროვნების შესახებ“ კანონს, მნიშვნელოვანი პროგრესი მისი შემუშავების პროცესში არ ყოფილა (დაინტერესებული საზოგადოებისათვის არ ყოფილა წარმოდგენილი პირვანდელთან შედარებით გაუმჯობესებული კანონპროექტი).</p>
--	--	--	--	--

<sup>40</sup> დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 მაისის N343 დადგენილებით

<p>მიმდინარეობს, თუ არა ფრინველთა იმ სახეობების შეფასება, რომლებიც საჭიროებენ კონსერვაციის განსაკუთრებულ ზომებს; ასევე ფრინველთა რეგულარულად მიგრირებადი სახეობების შეფასება?</p>	<p>X</p>			<p>GIZ-ის პროექტის Integrated Biodiversity Management, South Caucasus (IBiS)/ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში (IBiS) <a href="http://biodivers-southcaucasus.org/">http://biodivers-southcaucasus.org/</a> მხარდაჭერით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს პროექტს, „ბიომრავალფეროვნება-სთან დაკავშირებული ევროკავშირის დირექტივების განხორციელების მხარდაჭერა საქართველოში“.</p> <p>პროექტის ფარგლებში ხდება ფრინველთა მნიშვნელოვანი ტერიტორიების განახლებული შეფასება, ასევე დამატებითი ტერიტორიების კვლევა მათთვის სპეციალური დაცვის არეალის სტატუსის მინიჭების მიზნით. ამ ტერიტორიების რუკებისა და მონაცემთა ბაზების მომზადება. პროექტი მოიცავს ყველა კანდიდატი საიტისთვის მონიტორინგის სქემის მომზადებას, მონიტორინგის სახელმძღვანელოს მომზადებას და სამი საიტისთვის დეტალური მონიტორინგის გეგმის სავსე ტესტირებას. პროექტის ფარგლებში ასევე მოხდა საქართველოს ფრინველების ნუსხის განახლება. შეფასდა საქართველოში მათი ყოფნის სტატუსის, საქართველოს „ნითელი ნუსხის“ სტატუსი, IUCN-ის სტატუსი, ევროკავშირის ფრინველთა დირექტივის I, II, III დანართის სტატუსი. პროექტის საბოლოო შედეგები 2017 წლის იანვარში იქნება.</p>
<p>დანყებულება, თუ არა სამუშაოები ზურმუხტის ქსელის ტერიტორიების ინვენტარიზაციისთვის, ამ ტერიტორიების იდენტიფიკაცია და მათი მართვისათვის პრიორიტეტების განსაზღვრა (დირექტივის მუხლი 4)?</p>	<p>X</p>			<p>ევროპის საბჭოს/ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარეობს პროექტი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. პროექტს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად ახორციელებს სახეობათა კონსერვაციის ცენტრი ნაკრესი. ამ პროექტის ფარგლებში შერჩეული ტერიტორიებიდან 34-ს უკვე ზურმუხტის ქსელის კანდიდატი საიტის სტატუსი აქვს. სავარაუდოდ, მიმდინარე და მომავალ წელს დაგეგმილი კვლევების საფუძველზე, კანდიდატი საიტების რაოდენობა კიდევ გაიზრდება. ასევე მომავალ წელს დაგეგმილია საიტების ნაწილის მაინც საბოლოო დამტკიცებისთვის წარდგენა<sup>41</sup>.</p> <p>რაც შეეხება მართვის პრიორიტეტებს, ამ ეტაპზე ეს კითხვა არ არის რელევანტური. მართვის პრიორიტეტი თითოეული საიტისთვის კონკრეტული მართვის გეგმებით განისაზღვრება მათი საბოლოო დამტკიცების შემდეგ. მართვის პრიორიტეტების განსაზღვრა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე - ბიომრავალფეროვნების მდგომარეობა, დაცული სახეობის და ჰაბიტატის ბიო-ეკოლოგიური თავისებურებები და სტატუსი, ასევე ფინანსური და ადამიანური რესურსები.</p>
<p>გამოყოფილია, თუ არა ფინანსური რესურსები სამინისტროს/დონორის მხრიდან ამ სამუშაოების შესრულებისთვის ?</p>		<p>X</p>		<p>სამინისტროს მხრიდან ფინანსური რესურსები არ გამოყოფილა;</p> <p>ქმედებები დაგინანსებულია დონორების მიერ: ევროპის საბჭო/ევროკავშირი, GIZ.</p>

<sup>41</sup> <https://wcd.coe.int/com.instranet.InstraServlet?command=com.instranet.CmdBlobGet&InstranetImage=2951581&SecMode=1&DocId=2389706&Usage=2> ოფიციალურად დამტკიცებული კანდიდატი საიტების ნუსხა

<p>სხვა დამატებითი ქმედებები ბუნების დაცვის სფეროში, რომელიც განხორციელდა 2014-2016 წლებში</p>	<p>X</p>			<p>გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, ევროკავშირთან და CITES სამეცნიერო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, საერთაშორისო და ეროვნული ექსპერტების, აკადემიური ინსტიტუტების და არასამთავრობო ორგანიზაციების (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, (NACRES, მწვანე ალტერნატივა) მონაწილეობით, მოამზადა წინადადება ჯიხვის სახეობების (<i>Capra cylindricornis</i>, <i>Capra caucasica</i>) CITES მეორე დანართში შესატანად. 2016 წელს CITES მე-17 მხარეთა კონფერენციამ საქართველოს წინადადებას მხარი დაუჭირა. აღნიშნული ქმედება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ამ სახეობების დაცვისათვის, ვინაიდან შეიზღუდება უკანონოდ მოპოვებული ჯიხვის ნაწილების (რქები, ტყავი) საერთაშორისო საზღვრებზე გადატანა. ჯიხვის სახეობები პოპულარული სატროფეო ნადირობის ობიექტია, რაც მათი პოპულაციების შემცირების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.</p>
<b>ტყის მდგრადი მართვა</b>				
<p>მიმდინარეობს, თუ არა მუშაობა ახალ ტყის კოდექსზე და რამდენად შეესაბამება ის საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას?</p>			<p>X</p>	<p>საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, სამინისტროს სსიპ-ების, თბილისის მერიისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებისგან შექმნილი კომისიის მიერ შემუშავდა კანონპროექტი ახალი „ტყის კოდექსი“. კანონპროექტის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იქნა არასამთავრობო ორგანიზაციების არაერთი მნიშვნელოვანი წინადადება. თუმცა არსებობს პრონციპული საკითხები, რომლებზეც არ არსებობს შეჯერებული პოზიცია (სამეურნეო ტყის მართვის ორგანოს სამართლებრივი ფორმა, უფლებები და მოვალეობები, ადგილობრივ თვითმმართველობასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის კომპეტენციების გამიჯვნის საკითხები, ლიცენზირების/ტყითსარგებლობის ფორმების საკითხები და სხვ.) კანონპროექტში მოცემული ცალკეული საკითხები, როგორცაა ტყის კატეგორიზაცია (ფუნქციური ზონირება), ტყის განმარტება - შეესაბამება საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას. თუმცა არის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც იწვევენ ტყის ეკოსისტემების კარგვას/დეგრადაციას, მაგალითად როგორებიცაა წილის მოპოვება და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ტყის ტერიტორიაზე, მათი საკომპენსაციო ღონისძიებები და - არ შეესაბამებიან საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას და გარკვეულწილად წინააღმდეგობაში მოდიან ევროკავშირის გარემოსდაცვით დირექტივებთან. გაუგებარია, როდის დასრულდება კანონპროექტზე მუშაობა და როდის დაიწყება მისი საპარლამენტო განხილვები.</p>

<p>მიმდინარეობს, თუ არა მუშაობა ტყის კოდექსთან დაკავშირებული კანონქვემდებარე აქტებზე და რამდენად შეესაბამება ის საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას?</p>			X	<p>მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ დაიწყო მუშაობა „ტყის კოდექსის“ პროექტით განსაზღვრული ოთხი კანონქვემდებარე აქტის შემუშავებაზე: „ტყის დაცვის წესის შესახებ“, „ტყის მოვლისა და აღდგენის წესის შესახებ“, „ტყის აღრიცხვისა და მონიტორინგის წესის შესახებ“, და „ტყით-სარგებლობის წესების შესახებ“. ამ ეტაპზე აქტების შემუშავების პროცესი დახურულია დაინტერესებული საზოგადოებისათვის. შეუძლებელია ითქვას, რამდენად შეესაბამებიან აღნიშნული პროექტები საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას ან რამდენად იცნობენ ის ექსპერტები, ვინც ამ აქტებზე მუშაობენ, საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას.</p>
<p>შემუშავდა, თუ არა ტყის მდგრადი მართვის ეროვნული კრიტერიუმები და ინდიკატორები?</p>		X		<p>საერთაშორისო ექსპერტის მიერ, ეროვნული სატყეო პროგრამის განხორციელების ფარგლებში, შემუშავდა ტყის მდგრადი მართვის ეროვნული პრინციპები, კრიტერიუმები და ინდიკატორები (Lutz Fähser, National principles, criteria and indicators for sustainable forest management in Georgia, National Forest Program of Georgia (NFP). სამინისტროს განმარტების მიხედვით, აღნიშნული პრინციპების ინტეგრირება მოხდება ახალ ტყის კოდექსსა და მის კანონქვემდებარე აქტებში.</p>
<p>მომზადდა, თუ არა საქართველოში შეფასებული ველური ფლორისა და ფაუნის სახეობათა ნუსხა CITES-ის დანართებში შესაყვანად?</p>			X	<p>2015 წელს განხორციელდა კვლევა მცენარეთა შერჩეული სახეობებისათვის საერთაშორისო ექსპერტის მონაწილეობით. კვლევის შედეგად, ამ ეტაპზე ცხადად ვერ დადგინდა რომელიმე სახეობის CITES I ან II დანართში შეტანის კრიტერიუმებთან შესაბამისობა. მომავალში შესაძლებელია განხილული იქნას რამდენიმე სახეობის მესამე დანართში შეტანის მიზანშეწონილობა. თუმცა იმავდროულად ნათლად გამოჩნდა, ანალიზისთვის საჭირო ინფორმაციის არარსებობა (მაგ: საბაუზო არ ხდება არა CITES-ის სახეობების გადაადგილების აღრიცხვა სახეობების მიხედვით).</p>
<p>შეიქმნა, თუ არა სატყეო მონიტორინგის ახალი სისტემა?</p>			X	<p>დაიწყო GEF და GIZ-ის პროექტი, რომელიც ეხება სატყეო მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის შემუშავებასა და დანერგვას.</p> <p>გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) და მსოფლიო რესურსების ინსტიტუტის (WRI) წარმომადგენლებთან ერთად დაიწყო მსოფლიოს გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მიერ დაფინანსებული პროექტის - Global Forest Watch 2.0. შემუშავება. 2016 წლის სექტემბრიდან მიმდინარეობს ტყესთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვების პროცესი და დაწყებულია სატყეო მონიტორინგის სისტემის სატესტო ვერსიაზე მუშაობა.</p>

<p>რამდენად იქნა უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების ჩართვა სატყეო სექტორის საკანონმდებლო და ინსტიტუციურ რეფორმირებაში?</p> <p>შეიქმნა თუ არა სამუშაო ჯგუფები?</p>		X		<p>„ტყის კოდექსი“. კანონპროექტის საჯარო განხილვების ფარგლებში გაიმართა 14 შეხვედრა საქართველოს ყველა რეგიონში ადგილობრივი მუნიციპალიტეტების, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მოსახლეობის ჩართულობით. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში გაიმართა ტყის კოდექსის 2 საჯარო განხილვა. ასევე შედგა 2 გასვლითი სამუშაო შეხვედრა ექსპერტების მონაწილეობით.</p> <p>სატყეო სექტორის საკანონმდებლო და ინსტიტუციურ რეფორმირების პროცესისათვის ჩამოყალიბებულია ეროვნული სატყეო პროგრამა - National Forest Program of Georgia (NFP), რომელიც მოიცავს რამდენიმე სამუშაო ჯგუფს. სამუშაო ჯგუფების შეკრება არარეგულარულ ხასიათს ატარებს.</p> <p>Global Forest Watch-ის ტყის მონიტორინგის პროექტის ფარგლებში შედგა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. შეიქმნა პროექტის სამეთვალყურეო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიან საჯარო უწყებების, აკადემიური ინსტიტუტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.</p>
<b>ზოგადი შეფასება</b>				
<p><b>საერთო შეფასება:</b> 0 დან 60-მდე (3 X კითხვების რაოდენობაზე)</p>	39			
<p><b>საერთო ქულა = მიღწევად მაქსიმალურ ქულასთან პროცენტული თანაფარდობა</b></p>	18 ქულა	46%		

**მიზანი 4**

**წყლის ხარისხი და წყლის რესურსების მართვა**

**ამონარიდი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან:**

თანამშრომლობა მიზნად ისახავს გარემოს ხარისხის შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას, ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას, ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და საერთაშორისო დონეზე ძალისხმევის ხელშეწყობას, გარემოს დაცვის რეგიონულ ან გლობალურ პრობლემებთან გასამკლავებლად, მათ შორის ისეთ სფეროებში, როგორცაა, ... წყლის ხარისხი და წყლის რესურსების მართვა.

**დანართი XXVI „გარემოს დაცვა“.** საქართველო იღებს ვალდებულებას განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს შემდეგ სფეროებში: გარემოსდაცვითი მმართველობა და გარემოს საკითხების პოლიტიკის სხვა სფეროებში ინტეგრირება:

- 2000 წლის 23 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/60/EC დირექტივა წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ, 2455/2001/EC გადაწყვეტილებით შეტანილი შესწორებების შესაბამისად.

**შეფასება**

კითხვა	დიახ			არა	განმარტება
	3	2	1	0	
<b>ქულა</b>	<b>3</b>	<b>2</b>	<b>1</b>	<b>0</b>	

**ზოგადი**

<p>იყო, თუ არა მიღებული ახალი კანონმდებლობა, ან განხორციელდა თუ არა ცვლილებები არსებულ კანონმდებლობაში მოთხოვნის შესაბამისად?</p>				X	<p>მომზადდა “წყლის რესურსების მართვის შესახებ” კანონპროექტი, რომელიც 2015 წლის ნოემბერში აიტვირთა მთავრობის ელექტრონულ სისტემაში. მოხდა მიღებული შენიშვნების გათვალისწინება თუმცა, ჯერ-ჯერობით კანონპროექტის პარლამენტისთვის წარდგენა არ მომხდარა. გადაწყდა, რომ კანონპროექტს ჩაუტარდება რეგულატორული ზემოქმედების შეფასება თუმცა, ზუსტი ვადები არ არის დადგენილი. კანონის მიღება მოსალოდნელია 2017 წლის ზაფხულში.</p> <p>შეფასება ‘1’ განპირობებულია იმით, რომ კანონპროექტის მიღება ვერ მოხერხდა დადგენილ ვადებში, ხოლო მიღების ზუსტი თარიღი უცნობია.</p>
<p>იყო, თუ არა კარგად იდენტიფიცირებული ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის მთავარი პრინციპები და მახასიათებლები?</p>		X			<p>საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაში განსაზღვრულია წყლის სფეროში ევროკავშირის დირექტივების კონკრეტული დებულებები, რომლებთანაც უნდა მოხდეს ჰარმონიზაცია. გარდა ამისა, მომზადებულია ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების საგზაო რუკა. შემუშავებულია სხვადასხვა გაიდლაინები კონკრეტული დირექტივების განხორციელების მხარდასაჭერად.</p>
<p>ჩატარდა, თუ არა შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის და ინსტრუქციური მოწყობის ადექვატური ანალიზი, რათა დადგენილიყო რამდენად არის მასში ინტეგრირებული ევროკავშირის პრინციპები და მახასიათებლები?</p>		X			<p>დღემდე მოქმედი კანონმდებლობის და ინსტიტუციური მოწყობის ანალიზი განხორციელდა სხვადასხვა დროს. თუმცა, დღეისათვის ეს აღარ არის რელევანტური გამომდინარე იქედან, რომ იგეგმება წყლის სფეროში არსებული კანონმდებლობის მთლიანად ჩანაცვლება ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით. შეფასება ‘2’ განპირობებულია იმით, რომ ადეკვატურად არის შეფასებული და გააზრებული არსებული ხარვეზები და ასევე, საჭიროებები ჰარმონიზაციისათვის.</p>

იყო, თუ არა ჩატარებული განხორციელების ხარჯების ადექვატური ეკონომიკური შეფასება?				X	ხარჯების ეკონომიკური შეფასება არ განხორციელებულა. ეს შეიძლება გარკვეულწილად მოიცვას რეგულატორულმა ზემოქმედების შეფასებამ რომელიც ჩაუტარდება “წყლის რესურსების მართვის შესახებ” კანონპროექტს.
განსაზღვრულია, თუ არა ტერმინები ევროკავშირის განსაზღვრებათა შესაბამისად?				X	“წყლის რესურსების მართვის შესახებ” კანონპროექტის და კანონქვემდებარე აქტების პროექტების ტერმინები შეესაბამება ევროკავშირის დირექტივებში მოცემულ განსაზღვრებებს. დაბალი შეფასება გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ კანონპროექტები ჯერ არ არის ოფიციალურად მიღებული.
არის, თუ არა პასუხისმგებელი სტრუქტურების უფლებები და მოვალეობები მკაფიოდ განსაზღვრული?				X	“წყლის რესურსების მართვის შესახებ” კანონპროექტმა მკაფიოდ განსაზღვრა სახელმწიფო უწყებების კომპეტენციები წყლის მართვის სფეროში.
რამდენად კოჰერენტულია კანონმდებლობის სხვადასხვა ნაწილები?				X	“წყლის რესურსების მართვის შესახებ” კანონი ეფუძნება ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნებს, ხოლო კანონქვემდებარე აქტების პროექტები გამომდინარეობს “წყლის რესურსების მართვის შესახებ” კანონპროექტიდან და ასევე, ეფუძნება ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებს.
არის, თუ არა კანონმდებლობის მუხლები შესაბამისობაში სხვა მონათესავე კანონმდებლობასთან?				X	“წყლის რესურსების მართვის შესახებ” კანონპროექტი და მისი შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების პროექტები შესაბამისობაშია ზოგად გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან. თუმცა, კანონპროექტის მიღება გამოიწვევს ცვლილებებს მაგ. “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” კანონში, “ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ” კანონში და სხვ.
იმ შემთხვევაში, თუ შეუსაბამოა, განხორციელდა თუ არა, ან მომზადდა თუ არა საჭირო ცვლილებები, რათა მოხდეს შესაბამისობის უზრუნველყოფა?				X	ცვლილებების პაკეტი ჯერ-ჯერობით არ არის მომზადებული.
იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობის სრული განხორციელება მოითხოვს კანონქვემდებარე აქტების მიღებას, ხდება თუ არა მათი დროულად მიღება?				X	კანონქვემდებარე აქტების პროექტები მომზადებულია და ძალაში შევა კანონის მიღების შემდეგ.
უზრუნველყოფს, თუ არა კანონმდებლობა სააუზო მართვის მიდგომებს?				X	“წყლის რესურსების მართვის შესახებ” კანონპროექტი ითვალისწინებს სააუზო მონყოფას თუმცა, კანონპროექტის მიღების ზუსტი ვადები უცნობია.
არის, თუ არა აუზების დადგენის პროცესი მკაფიოდ განწერილი?				X	“მდინარეთა აუზების ინტეგრირებული მართვის სააუზო ტერიტორიული ერთეულების საზღვრების დამტკიცების შესახებ” კანონქვემდებარე აქტის პროექტით საქართველოს ტერიტორიაზე დადგენილია 6 სააუზო უბანი.

დადგინდა, თუ არა აუზები?				X	როგორც აღინიშნა, კანონქვემდებარე აქტის პროექტით დადგენილია 6 სააუზო უბანი. თუმცა, ოფიციალურად მისი მიღება მხოლოდ “წყლის რესურსების მართვის შესახებ” კანონპროექტის მიღების შემდეგ გახდება შესაძლებელი.
იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა აუზები, არის თუ არა უზრუნველყოფილი შესაბამისი ადმინისტრაციული მოწყობა თითოეული აუზისათვის?				X	სააუზო მართვის ადმინისტრაციული მოწყობა ჯერ-ჯერობით არ არის უზრუნველყოფილი.  აღსანიშნავია, რომ სააუზო ტერიტორიული ერთეულების სახლმწიფო დაფინანსების საკითხი ღიად რჩება. კანონპროექტს ჩაუტარდება რეგულატორული ზემოქმედების შეფასება, რომელიც აღნიშნულ საკითხსაც შეეხება.
არის, თუ არა უზრუნველყოფილი სათანადო კოორდინაცია კომპეტენტურ სტრუქტურებს შორის?				X	“წყლის რესურსების მართვის შესახებ” კანონპროექტი ითვალისწინებს სახლმწიფო უწყებებს შორის კოორდინაციას, და ასევე, ტერიტორიული პრინციპით შექმნილი სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების შექმნას, რომლებიც სამინისტროსთან არსებული სათათბირო ორგანოები იქნება.
არსებობს, თუ არა შესაბამისი სტრუქტურები და პროცედურები იმისათვის, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობა, იმ შემთხვევაში, როცა მდინარის აუზი სცილდება ერთი ქვეყნის საზღვრებს?				X	“წყლის რესურსების მართვის შესახებ” კანონპროექტი ითვალისწინებს ტრანსსასაზღვრო წყლის ობიექტების მართვას. თუმცა, არ არის დადგენილი მემოხელი ქვეყნების შესაბამისი სტრუქტურებთან თანამშრომლობის პროცედურები.
მოითხოვს, თუ არა კანონმდებლობა მდინარის სააუზო მართვის გეგმას, მათ შორის ღონისძიებათა გეგმას, რათა მიღწეულ იქნეს წყლის კარგი ხარისხი?				X	მოცემულია “მდინარეთა სააუზო მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ” კანონქვემდებარე აქტის პროექტი.
მოითხოვს, თუ არა კანონმდებლობა საზოგადოებასთან კონსულტაციებს მდინარეთა აუზების მართვის გეგმების შემუშავებისას?				X	გათვალისწინებულია “მდინარეთა სააუზო მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ” კანონქვემდებარე აქტის პროექტი.
უზრუნველყოფს, თუ არა კანონმდებლობა წყლის ობიექტების კლასიფიკაციას ევროკავშირის წყლის შესახებ ჩარჩო დირექტივაში მოცემული კლასიფიკაციის შესაბამისად?				X	გათვალისწინებულია “წყლის რესურსების მართვის შესახებ” კანონის პროექტი.

ამ შემთხვევაში, არის, თუ არა უზრუნველყოფილი წყლის ობიექტების დადგენა ამ კლასიფიკაციის შესაბამისად?				X	“წყლის რესურსების მართვის შესახებ” კანონის პროექტი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული გარემოსდაცვითი მიზნები წყლის რესურსებთან მიმართებით.
არის, თუ არა კანონმდებლობაში მოცემული მკაფიო გარემოსდაცვითი მიზნები?		X			გათვალისწინებულია “წყლის რესურსების მართვის შესახებ” კანონის პროექტში.
არის, თუ არა ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული წყლის ხარისხის ნორმები ინტეგრირებული ეროვნულ კანონმდებლობაში?			X		გათვალისწინებულია “ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების გაანგარიშების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე” კანონქვემდებარე აქტის პროექტში.
არის, თუ არა ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული ჩაშვების ლიმიტები ინტეგრირებული ეროვნულ კანონმდებლობაში?			X		რეგულირდება გარემოზე ზემოქმედების ნებართვების სისტემით.
მოითხოვს, თუ არა კანონმდებლობა დაბინძურების წერტილოვანი წყაროების წინასწარ ავტორიზაციას ან რეგულირებას ემისიების კონტროლის საშუალებით?			X		მოქმედი კანონმდებლობით ზედაპირული წყალაღება რეგულირდება გარემოზე ზემოქმედების ნებართვით და ტექნიკური რეგლამენტებით. მინისქვეშა წყალაღება - ლიცენზიებით. ბუნებრივი რესურსის მოსაკრებელი დღესდღეობით გათვალისწინებულია მხოლოდ მინისქვეშა წყლების მოხმარებისათვის. “წყლის რესურსების მართვის შესახებ” კანონის პროექტი ითვალისწინებს წყალმომარების (წყალაღების და წყალჩაშვების) ნებართვების შემოღებას. შესაბამისად, ზედაპირული წყალაღებაც დაექვემდებარება მოსაკრებლის გადახდას.
მოითხოვს, თუ არა კანონმდებლობა წინასწარ ავტორიზაციას ზედაპირული და მინისქვეშა წყლის ობიექტებიდან წყალაღების და ამ ობიექტებში ჩაშვებისთვის?			X		
კრძალავს, თუ არა კანონმდებლობა საშიში ნივთიერებების პირდაპირ ჩაღვრას მინისქვეშა წყლებში?	X				დღესდღეობით არ არსებობს ეფექტური მექანიზმები დიფუზური დაბინძურების პრევენციის ან კონტროლისათვის. ამჟამად ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო წყაროებიდან წყლის დაბინძურების ასპექტების ინტეგრირება წყლის სფეროში არსებულ კანონპროექტებში.
მოიცავს, თუ არა კანონმდებლობა ღონისძიებებს დიფუზური დაბინძურების აღკვეთის ან კონტროლის უზრუნველსაყოფად?				X	გათვალისწინებულია “წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვისა და განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე” კანონქვემდებარე აქტის პროექტში.

მოიცავს, თუ არა კანონმდებლობა წყლის მონიტორინგის პროგრამებს?			X	
<b>ზოგადი შეფასება</b>				
<b>საერთო შეფასება:</b> 0-დან 84-მდე (3 X კითხვების რაოდენობაზე)		18		
<b>საერთო ქულა =</b> მიღწევად მაქსიმალურ ქულასთან პროცენტული თანაფარდობა		21.4%		
<p><b>კომენტარები, განმარტებები, რეკომენდაციები ზოგადი შეფასებისთვის:</b></p> <p>შეფასების დროს მხედველობაში იქნა მიღებული, რომ საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების შესაბამისად, მომზადებულია წყლის რესურსების მართვის შესახებ ახალი კანონპროექტი და მისი შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები. კანონპროექტები ატვირთული იყო მთავრობის ელექტრონულ სისტემაში და გაიარა აქტიური განხილვების პროცესი. იმის გათვალისწინებით, რომ წყლის სფეროში არსებული მოქმედი კანონმდებლობა მთლიანად ექვემდებარება ჩანაცვლებას, მისი შეფასება არ იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად. ამის ნაცვლად, აქცენტი გაკეთდა სწორედ ახალ კანონპროექტებზე, რომლებიც მიზნად ისახავს წყლის სფეროში ევროკავშირის პრინციპების და მოთხოვნების დანერგვას. შეფასებაში გათვალისწინებული იყო, რომ განეულია გარკვეული სამუშაო აღნიშნული კანონპროექტების შემუშავების მიზნით და არსებობს მზაობა ამ კანონპროექტების მიღებისათვის. მიუხედავად ამისა, დაბალი შეფასებები განპირობებულია იმით, რომ კანონპროექტების ზუსტი მიღების ვადები არ არის დადგენილი გამომდინარე იქედან, რომ იგეგმება “წყლის რესურსების მართვის შესახებ” კანონის პროექტის ‘რეგულატორული ზემოქმედების შეფასების’ ჩატარება.</p>				

**მიზანი 5**

**ქიმიური ნივთიერებების მართვა**

**ამონარიდი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან:**

**302-ე მუხლის პირველი პუნქტი:** თანამშრომლობა მიზნად ისახავს გარემოს ხარისხის შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას, ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას, ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და საერთაშორისო დონეზე ძალისხმევის ხელშეწყობას, გარემოს დაცვის რეგიონულ ან გლობალურ პრობლემებთან გასამკლავებლად, მათ შორის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: (g) ქიმიური ნივთიერებების მართვა;

**დანართი XXVI „გარემოს დაცვა“.** საქართველო იღებს ვალდებულებას განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს შემდეგ სფეროებში: გარემოსდაცვითი მმართველობა და გარემოს საკითხების პოლიტიკის სხვა სფეროებში ინტეგრირება:

2008 წლის 17 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 689/2008 რეგულაცია სახიფათო ქიმიური ნივთიერებების იმპორტისა და ექსპორტის შესახებ. გამოიყენება ამ რეგულაციის შემდეგი დებულებები:

- ექსპორტის შესახებ შეტყობინების პროცედურის განხორციელება (მუხლი 7);
- პროცედურების დანერგვა სხვა ქვეყნებიდან მიღებულ ექსპორტთან დაკავშირებული შეტყობინებების მართვის მიზნით (მუხლი 8);
- პროცედურების დაწესება საბოლოო მარეგულირებელი ქმედების შესახებ შეტყობინებების შემუშავებისა და დაგზავნისათვის (მუხლი 10);
- იმპორტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისა და გაგზავნის პროცედურების დაწესება (მუხლი 12);
- „წინასწარი ინფორმირებული თანხმობის, PIC (Prior Informed Consent) პროცედურების განხორციელება ზოგიერთი ქიმიური ნივთიერების, კერძოდ როტერდამის კონვენციის III დანართში ჩამოთვლილი ნივთიერებების ექსპორტის მიზნით (მუხლი 13);
- ექსპორტისათვის განკუთვნილი ქიმიური ნივთიერებების ეტიკეტირებისა და შეფუთვის მოთხოვნების შესრულება (მუხლი 16);
- ეროვნული ორგანოს განსაზღვრა, რომლებიც გააკონტროლებენ ქიმიური ნივთიერებების იმპორტს და ექსპორტს (მუხლი 17).

**შეფასება**

კითხვა	დიახ				არა	შენიშვნა
	3	2	1	0		
ქულა						
არსებობს, თუ არა საქართველოში ადექვატური კანონმდებლობა ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში?				X		საქართველოში 1998-2010 წლებში მოქმედებდა კანონი „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“. 2010 წელს კანონის გაუქმების შემდგომ პრაქტიკულად არ არსებობს ქიმიური ნივთიერებების მართვის ერთიანი სამართლებრივი საფუძველი ამდენად, სამართლებრივი ნორმები აღნიშნულ სფეროში ძირითადად განისაზღვრება იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომელთა წევრი არის საქართველო. აღნიშნული სფერო ასევე რეგულირდება საქართველო კანონებით:

					<ul style="list-style-type: none"> <li>• „ნარჩენების მართვის კოდექსი“;</li> <li>• „ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ“;</li> <li>• „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“;</li> <li>• პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი.</li> </ul> <p>მიუხედავად საქართველოს კანონის „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“ გაუქმებისა, საქართველოში დღესაც ძალაშია ამ კანონიდან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ საშიში ქიმიური ნივთიერებების გამოყენების შეზღუდვის ან აკრძალვის წესს, მათ კლასიფიკაციას და საქართველოს ტერიტორიაზე წარმოების, გამოყენებისა და ექსპორტ-იმპორტის აკრძალვას ან მკაცრად შეზღუდულ გამოყენებას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების ნუსხას.</p>
სახეზეა, თუ არა ყველა სტრუქტურა, რომლის შექმნასაც ითვალისწინებს ასოცირების ხელშეკრულება ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში არსებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობაში?			X		<p>საქართველო არის შემდეგი ხელშეკრულებების წევრი ქვეყანა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- 1989 წლის 22 მარტის ბაზელის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“ 1989 წლის 22 მარტის ბაზელის კონვენცია;</li> <li>- როტერდამის 1999 წლის 10 სექტემბრის კონვენცია "ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ“;</li> <li>- სტოკჰოლმის 2001 წლის 22 მაისის კონვენცია „მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ“;</li> <li>- ვენის 1969 წლის კონვენცია „ოზონის შრის დაცვის შესახებ“;</li> <li>- მონრეალის 1987 წლის ოქმი „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ ყველა ცვლილებებით;</li> <li>- 1992 წლის 9 მაისის „კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია“ მასში შეტანილი ცვლილებებით;</li> <li>- "გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციის" 1997 წლის 11 დეკემბრის ოქმი ცვლილებებით;</li> <li>- FAO-ს 1985 წლის „პესტიციდების განაწილებისა და გამოყენებისა წესების საერთაშორისო კოდექსი“ მასში შეტანილი ცვლილებებით და სხვ.</li> </ul>

				<p>ხელშეკრულებებით გათვალისწინებული კომპეტენტური სტრუქტურებია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- გარემოს დაცვის სამინისტრო - ბაზელის, სტოკჰოლმის, ვენის, როტერდამის (სამრეწველო ქიმიური ნივთიერებების ნაწილში) და კლიმატის ჩარჩო კონვენციების და მონრეალის და კიოტოს ოქმების სამდივნოებთან ინფორმაციის მიმოცვლის სფეროში;</li> <li>- სოფლის მეურნეობის სამინისტრო - როტერდამის კონვენციის სამდივნოსთან პესტიციდებზე ინფორმაციის მიმოცვლის სფეროში;</li> <li>-</li> </ul> <p>შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის X სამინისტრო ანგარიშვალდებულია ლონდონის სახელმძღვანელო პრინციპების სამდივნოსთან და პოტენციურად ტოქსიკურ-ქიმიური ნივთიერებების რეგისტრთან ინფორმაციის მიმოცვლის სფეროში.</p>
რამდენად რეგულარულად და ეფექტიანად ხდება ინფორმაციის მიმოცვლა?			X	<p>ინფორმაციის გაცვლა მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს ბაზელის, სტოკჰოლმის და კლიმატის ცვილებების ჩარჩო კონვენციებთან და კიოტოს ოქმების სამდივნოებთან, რომელიც გამოიხატება გარემოსა და ბუნებრივი რესურსებს დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული ანგარიშების ყოველწლიურ წარდგენაში და სამდივნოდან შემოსული კითხვარების შევსებაში.</p> <p>როტერდამის კონვენციასთან, ასევე, ლონდონის სახელმძღვანელო პრინციპების სამდივნოსთან და პოტენციურად ტოქსიკურ-ქიმიური ნივთიერებების რეგისტრთან ინფორმაციის მიმოცვლა არ ხდებოდა. 2015 წლის ბოლოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გარკვეული მასალები პესტიციდებთან დაკავშირებით წარუდგინა როტერდამის კონვენციის სამდივნოს.</p>
ძალაშია, თუ არა საქართველოში წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურა			X	<p>დიახ, თუმცა არა საქართველოს კანონის საფუძველზე. წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურის ჩატარების აუცილებლობას განსაზღვრავს საერთაშორისო ხელშეკრულებების და ცალკეული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნები.</p>
იდგმება, თუ არა ნაბიჯები საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა განსახორციელებლად?			X	<p>დიახ, რაც განპირობებულია, ერთის მხრივ, საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაკისრებული ვალდებულებებით და მეორეს მხრივ, 2014 წელს საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით. კერძოდ, 2010-2014 წლებში მიღებულ და დამტკიცებულ იქნა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ნარჩენების მართვის კოდექსი (2014 წ.);</li> <li>• ცვლილებები საქართველოს კანონებში „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ და „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ (2016 წ.);</li> <li>• ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა (2016 წ.);</li> <li>• ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგია (2014);</li> </ul>

				<ul style="list-style-type: none"> <li>• მდგრადი ორგანული დამბინძურებლების ეროვნული სამოქმედო გეგმა (2011);</li> <li>• „ყოვლისმომცველი სტრატეგია და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა სურსათის უვნებლობის სფეროში“ (2010 წ.);</li> <li>• მთელი რიგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა - ტექნიკური რეგლამენტებისა - რომლებმაც განსაზღვრეს ნაგავსაყრელების მართვის, ნარჩენების ტრანსპორტირების, შეგროვების, დამუშავების, აღრიცხვის, კლასიფიკაციის, შენახვისა და რეგისტრაციის წესი და პირობები (2016 წ.).</li> </ul> <p>ამჟამად გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად ახორციელებს პროექტს, რომელიც ითვალისწინებს მომდევნო ორი წლის განმავლობაში ახალი მოდ-ების ინვენტარიზაციას, არსებული გეგმის შეფასებას და ახალი გეგმის პროექტის შემუშავებას და მიღებას.</p> <p>გარკვეულ წარმატებებს საქართველომ მიაღწია მონრეალის ოქმის მრავალმხრივი ფონდის ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში, კერძოდ,</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• 2006 წელს მოხმარებიდან დაიქარებულად ამოღებულ იქნა ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებები - ჰალონები. ასევე დაიქარებულად, 2008 წელს მოხდა ქლორფტორნახშირბადების მოხმარების შეწყვეტა;</li> <li>• ქვეყანაში შეიქმნა ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტ-ექსპორტის სანებართვო სისტემა. მოხდა საბაჟო უწყების შესაძლებლობის გაძლიერება;</li> <li>• ქვეყანაში შეიქმნა 2 რეციკლირების ცენტრი, სადაც ხდება მოხმარებული მაცივარაგენტების განახლება ხელახლა გამოყენებისათვის. გადამზადდა 1000-მდე ტექნიკოსი. 3 პროფესიულ სასწავლებელში დაინერგა მაცივარ-ტექნიკოსის სასწავლო პროგრამა;</li> <li>• განხორციელდა ქვეყანაში არსებული ოზონდამშლელი ნარჩენების საქართველოდან ევროპაში გატანა და გარემოსათვის უსაფრთხოდ განადგურება;</li> <li>• საქართველომ 2015 წელს მიაღწია წყალბადქლორფტორნახშირბადების მოხმარების 10%-იან შემცირებას, ხოლო 2016 წელს საბოლოოდ შეწყვიტა ერთ-ერთი მათგანის მოხმარება.</li> </ul>
--	--	--	--	--

<p>ინარმოება, თუ არა საქართველოში საშიში ქიმიური ნივთიერებების ერთიანი სახელმწიფო რეესტრი?</p>				<p>არა. კანონი „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“ ითვალისწინებდა საშიში ქიმიური ნივთიერებების ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შექმნას, მაგრამ ამოცანის სირთულიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით ნაბიჯები პრაქტიკულად არ გადადგმულა, ხოლო 2010 წელს კანონის გაუქმებამ აღნიშნული სამართლებრივი ნორმა ავტომატურად გააუქმა.</p> <p>ამჟამად საქართველოში მოქმედებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საქართველოს ტერიტორიაზე გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგი - ანარმოებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;</li> <li>• პესტიციდების და აგროქიმიკატების იმპორტიორ/ექსპორტიორთა, რეალიზატორების, შემნახველების და მწარმოებლების უწყებრივი რეესტრი - ანარმოებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;</li> </ul> <p>მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების უწყებრივი რეესტრი - ანარმოებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.</p> <p>ასევე, საქართველოში 2015 წლის 17 აგვისტოს საქართველოს მთავრობის #426 დადგენილებით დამტკიცდა სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის წესი, რომელსაც დანართის სახით ერთვის ნარჩენების ჩამონათვალი.</p>
<p>ინარმოება, თუ არა საქართველოში საშიში ქიმიური ნივთიერებების ერთიანი სახელმწიფო რეესტრი?</p>				<p>არა. კანონი „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“ ითვალისწინებდა საშიში ქიმიური ნივთიერებების ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შექმნას, მაგრამ ამოცანის სირთულიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით ნაბიჯები პრაქტიკულად არ გადადგმულა, ხოლო 2010 წელს კანონის გაუქმებამ აღნიშნული სამართლებრივი ნორმა ავტომატურად გააუქმა.</p> <p>ამჟამად საქართველოში მოქმედებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საქართველოს ტერიტორიაზე გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგი - ანარმოებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;</li> <li>• პესტიციდების და აგროქიმიკატების იმპორტიორ/ექსპორტიორთა, რეალიზატორების, შემნახველების და მწარმოებლების უწყებრივი რეესტრი - ანარმოებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;</li> </ul> <p>მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების უწყებრივი რეესტრი - ანარმოებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.</p> <p>ასევე, საქართველოში 2015 წლის 17 აგვისტოს საქართველოს მთავრობის #426 დადგენილებით დამტკიცდა სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის წესი, რომელსაც დანართის სახით ერთვის ნარჩენების ჩამონათვალი.</p>

<p>რა კონკრეტული საკითხებია დაგეგმილი?</p>			<p>X</p>	<p>საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები განერილია 2015-2019 წლებზე და ქვეყნის ქიმიური უსაფრთხოებისა და პოტენციურად საშიში ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში მოიცავს შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებას, არსებული კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე მის ჰარმონიზაციას ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან, ქიმიური ნივთიერებების აღრიცხვას, ქიმიურად დაბინძურებული ობიექტების იდენტიფიცირების ერთიანი სისტემის შექმნას, მოსალოდნელი ავარიების რისკების შეფასებას, ნარჩენების მართვის სფეროში სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებას, ქიმიური ნივთიერებების ეროვნული რეესტრის შექმნას და წარმოებას და სხვ.</p>
<p>ხდება, თუ არა საზოგადოების ინფორმირება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება</p>			<p>X</p>	<p>გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით იდგმება, კერძოდ, ჯერ კიდევ 2005-2006 წლებში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ დაფინანსებული პროექტის „სტოკჰოლმის კონვენციის ფარგლებში მდგრადი ორგანული დამბინძურებლების ეროვნული სამოქმედო გეგმის მომზადება“ განხორციელებისას, შედგა არა ერთი სემინარი ურუნალისტებისათვის, მომზადდა რამდენიმე სატელევიზიო გადაცემა მდგრად ორგანულ დამბინძურებლებზე და იმ საფრთხეზე, რომელსაც ისინი უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობას და გარემოს, ასევე მოეწყო ფოტოგამოფენა ფართო საზოგადოებისთვის. ძირითადად მსგავსი ღონისძიებები ტარდება სხვადასხვა პროექტების ფარგლებში, რომლებიც, როგორც წესი, შეიცავენ საზოგადოებასთან ურთიერთობის და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კომპონენტს. ასევე, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს ორჰუსის ცენტრი, რომელიც თავის ვებ-გვერდზე სისტემატურად აქვეყნებს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციას. მიუხედავად აღნიშნულისა, განუული ძალისხმევა საკმარისი არ არის საზოგადოების მიერ არსებული საფრთხის სრულად გაცნობიერებისათვის და საჭიროებს პერმანენტულ მუშაობა ამ მიმართულებით.</p>
<p>ხორციელდება, თუ არა სპეციალური პროგრამები ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში, რომლის მიზანია ასოცირების ხელშეკრულების შესრულება?</p>		<p>X</p>		<p>მიმდინარეობს მთელი რიგი პროგრამების განხორციელება ამ კუთხით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• წყალბადქლორფტორნახშირბადების მოხმარებიდან ამოღების მართვის გეგმა (HPMP) - 2012-2020;</li> <li>• P0006 ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში (WMTR) - 12014-2018;</li> <li>• P0007 საქართველოში მდგრადი ორგანულ დამბინძურებლების(მოდ) შესახებ სტოკჰოლმის კონვენციის შესასრულებლად ეროვნული სამოქმედო გეგმის განხილვა და განახლება - 2014-2017</li> </ul>

<p>გადაილახა, თუ არა ძირითადი წინააღმდეგობები ქვეყანაში არსებული წინააღმდეგობები საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა აღსრულების თვალსაზრისით?</p>			X	<p>2012 წლიდან, ხელისუფლების შეცვლის შემდგომ, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ დაიბრუნა თავისი უფლებამოსილებანი, რომლებიც მნიშვნელოვნად შეიკვეცა წინა ხელისუფლების მიერ გარემოს დაცვის სფეროში გატარებული ყოველად გაუმართლებელი რეფორმის შედეგად. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი სიძნელეებია, როგორც სამინისტროს ღონისძიებათა დაფინანსების, ასევე კვალიფიციური კადრების მოზიდვის თვალსაზრისით, რაც ართულებს როგორც სამინისტროს საქმიანობას, ასევე კანონმდებლობის შემუშავებას და კანონით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებას. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მხოლოდ 3 წელია გასული სამინისტროს აქტიური საქმიანობის დაწყებიდან, ძნელია დამაჯერებლად იმსჯელო გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების ვადებზე. მაგ.: 2019 წლისთვის დაგეგმილია ახალი კანონის „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“ შემუშავება და „საშიში ქიმიური ნივთიერებების ეროვნული რეესტრის“ შექმნა. ეროვნულ რეესტრის შექმნასა და წარმოებაზე მთავარ კომპეტენტურ ორგანოდ კვლავ განისაზღვრა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კანონის დადგენილ ვადებში მიღების შემთხვევაში, საბოლოო წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე თუ რამდენად ადექვატური ნაბიჯები გადაიდგმება კანონის ეფექტიანი და სრულფასოვანი ამოქმედებისთვის.</p>
<b>ზოგადი შეფასება</b>				
<p><b>საერთო შეფასება:</b> 0 დან 60-მდე (3 X კითხვების რაოდენობაზე)</p>	10/33			
<p><b>საერთო ქულა = მიღწევად მაქსიმალურ ქულასთან პროცენტული თანაფარდობა</b></p>	30%			

